ეროვნული ბიბლიოთეკა

კანონთა და განკარგულებათა კრებული

ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა მთავრობისა.

1931 წლის ავგისტოს 15.	№ 15 განყოფილება პირველი	ა/კსფსრ სახალ. კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველობის მიერ გამოცემული.

შ ი ნ ა ა რ ს ი:

დადგენილებანი ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

მუხ. 177. ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული ამიერკავკასიის კომუნალური მეურნეობის სამმართველოს ა/კსფსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატად გარდაქმნის შესახებ.

„ 178. „ხანძარისაგან ტყეების დაცვის თაობაზე“ გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების გაუქმების შესახებ.

დადგენილებანი ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

„ 179. სასოფლო საბჭოების დათვალიერების თვიურის ჩატარების შესახებ.

„ 180. ა/კსფსრ-ის დაარსების ათის წლის დღესასწაულის ჩატარების შესახებ.

„ 181. კავკასიის წითელდროშიანი არმიის ნაწილებისათვის გარდამავალი პრიზების დაარსების შესახებ.

„ 182. ბათუმის საქალაქო საბჭოს თავმჯდომარის ამხ. გიორგაძისა და ამიერკავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული საბჭოთა მშენებლობისა და სამართლის ინსტიტუტის ბრიგადის მოხსენებების გამო—ბათუმის საქალაქო საბჭოს საორგანიზაციო-მასსური მუშაობის გარდაქმნის საქმის მდგომარეობის შესახებ.

„ 183. ა/კსფსრ-ში სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის მუშაობის შესახებ.

„ 184. საკრედიტო რეფორმის შესწორებათა განხორციელების შედეგის შესახებ.

დადგენილებანი ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

„ 185. სახელმწიფო შენაერთებისა, ტრესტებისა და სხვა სამეურნეო ორგანიზაციების საბრუნავ სახსართა შესახებ.

„ 186. 1931 წლის საშემოდგომო სასოფლო-სამეურნეო კამპანიის ვეგმის შესახებ.

„ 187. ზურგის ლაშქროსანთა შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილებანი ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული აღსრულების შემმოწმებელი კომისიისა.

„ 188. „ბოსტნეულის საცავთა მშენებლობის თაობაზე“ გამოცემული სრულიად საკავშირო კომენისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1931 წ. მაისის 8-ის დადგენილების აღსრულების მსვლელობის შესახებ.

„ 189. „შავი და ფერადი ნატეხი ლითონის შეგროვების თაობაზე“ გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. მარტის 4-ის დადგენილების აღსრულების მსვლელობის შესახებ.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

177. ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული ამიერკავკასიის კომუნალური მეურნეობის სამმართველოს ა/კსფსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატად გარდაქმნის შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული ამიერკავკასიის კომუნალური მეურნეობის სამმართველო გადაკეთებულ იქნეს ა/კსფსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატად.

2. ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. მარტის 17-ის თარიღისა და 339 №-ის დადგენილება „ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული ამიერკავკასიის კომუნალური მეურნეობის სამმართველოს მოწყობის შესახებ“ გაუქმებულ იქნეს.

3. დამტკიცებულ იქნეს ქვემომდეკნო დებულება ა/კსფსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატის შესახებ.

4. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატს—წარმოადგინოს ერთი თვის ვადაზე პროექტი დადგენილებისა—ა/კსფსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატის დაარსებასთან დაკავშირებით ა/კსფსრ კანონმდებლობაში სათანადო ცვლილების შეტანის შესახებ.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

ა/კსფსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატის შესახებ.

1. ა/კსფსრ კონსტიტუციის 25 მუხლის თანახმად და ა/კსფსრ სახალხო კომისარიატების საერთო დებულების 1-ლი მუხლის „ბ“ პუნქტის შესაბამისად, გაერთიანებული სახალხო კომისარიატის უფლებებით, მოწყობილ ა/კსფსრ კო-

მუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატს დაეკისრება—ხელმძღვანელობა გაუწიოს ქალაქებისა და დაბების მშენებლობას და რეკონსტრუქციას სოციალისტურ სოფუძველზე, დაგეგმოს და მოაწესრიგოს კომუნალური მეურნეობა და საბინაო მშენებლობა, ხელმძღვანელობა და რეგულირება გაუწიოს არასამრეწველო მშენებლობას ა/კსფსრ ტერიტორიაზე.

2. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკებში დაარსდებიან კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატები, ხოლო ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ოლქებში—კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატების რწმუნებულთა სამმართველოები.

3. ა/კსფსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატი, ექვემდებარება-რა უშუალოდ ამიერკავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს, მის პრეზიდიუმს, ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს და ა/კსფსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს, ანხორციელებს თავისი მოქმედებით როგორც ამ ორგანოებისა, ისე სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა, სახალხო კომისართა საბჭოს და შრომისა და თავდაცვის საბჭოს დადგენილებებსა და დირექტივებს.

4. ა/კსფსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატის გამგებლობის საგანს შეადგენს:

დაგეგმვის სფეროში:

ა) შეიმუშაოს და წარადგინოს არსებული წესისამებრ საბინაო მეურნეობისა და ყველა კატეგორიის მეალნაგეთა მიხედვით საწარმოებელი მშენებლობის ჯუმლობითი, პერსპექტიული და წლიური (საოპერაციო) გეგმები და საკონტროლო ციფრები, დაინტერესებული უწყებებისა და ორგანიზაციების საქმეში ჩაბმით;

ბ) შეიმუშაოს და წარადგინოს არსებული წესისამებრ კომუნალური მეურნეობისა და დაბანდებათა ყოველი წყაროს მიხედვით საწარმოებელი მშენებლობის პერსპექტიული და წლიური (საოპერაციო) გეგმები და საკონტროლო ციფრები;

გ) შეადგინოს საბინაო და კომუნალური მეურნეობისა და მშენებლობის დაფინანსების ჯუმლობითი გეგმები, კერძოდ—შეიმუშაოს ცენტრალური კომუნალური ბანკის ხაზით ამ მშენებლობის დაკრედიტების გეგმები;

დ) შეასრულოს საბინაო და კომუნალური მშენებლობის გეგმა ა/კსფსრ ტერიტორიაზე და შეადგინოს მთავრობისათვის მოსახსენებლად ჯუმლობითი ანგარიშები;

ე) ხელმძღვანელობა გაუწიოს კომუნალური მეურნეობის რესპუბლიკანური ორგანოების საგეგმო მუშაობას;

ვ) შეიმუშაოს კომუნალური მეურნეობისა და საბინაო მშენებლობისათვის ანგარიშგების სასტანდარტო ფორმები და სისტემატიურად თვალყური ადევნოს საფინანსო გეგმების შესრულებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალაქებისა და დაბების მშენებლობისა და რეკონსტრუქციის სფეროში:

ა) გეგმიანი ხელმძღვანელობა გაუწიოს არსებული ქალაქების და დაბების გადაკეთებას და ახლების მშენებლობას სოციალისტურ საფუძველზე;

ბ) საერთო ხელმძღვანელობა გაუწიოს ქალაქებისა და დაბების დაგეგმვასა და გეგმაზე გადაღებას;

გ) საერთო რეგულირება გაუწიოს ქალაქებისა და დაბების აღნაგობას;

დ) შეიმუშაოს და წარუდგინოს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს დასამტკიცებლად ახალი ქალაქების და დაბების მშენებლობისა და არსებული ქალაქების და დაბების რეკონსტრუქციის პერსპექტიული და წლიური გეგმების პროექტები;

ე) შეიმუშაოს და დაამტკიცოს ძირითადი დებულებები, წესები და ნორმები ქალაქებისა და დაბების დაგეგმვისა და აღნაგობის საკითხებისათვის.

ვ) განიხილოს და დაამტკიცოს ქალაქებისა და დაბების დაგეგმვის პროექტები;

შენიშვნა. დედა-ქალაქების ტფილისისა, ბაქოს და ერევნის დაგეგმვის პროექტებს დასამტკიცებლად კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატი წარუდგენს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს;

ზ) საერთო ხელმძღვანელობა, ზედამხედველობა და კონტროლი გაუწიოს იმ ორგანიზაციების მოქმედებას, რომელნიც ახალი ქალაქების მშენებლობას უშუალოდ ანხორციელებენ;

თ) საერთო ხელმძღვანელობა გაუწიოს ქალაქებსა და დაბებში გეოდეზიური სამსახურის ორგანიზაციას;

ი) მოაწყოს და ხელმძღვანელობა გაუწიოს იმ საპროექტო და საწარმოო კონტორებს, საალიო საზოგადოებებს, ტრესტებსა და ბიუროებს, რომელნიც ქალაქებისა და დაბების დაგეგმვის სამუშაოებს ასრულებენ.

საბინაო მეურნეობის სფეროში:

ა) შეიმუშაოს საბინაო პოლიტიკის საფუძვლები და ხელმძღვანელობა გაუწიოს საბინაო მეურნეობისა და მშენებლობის სფეროში მთავრობის მიერ გამოცემული დირექტივების ჩატარებას, როგორც ქალაქად ისე სოფლად დაბებში, კერძოდ—კოლექტიურ და საბჭოთა მეურნეობებში;

ბ) შეიმუშაოს დირექტივები საცხოვრებელი ფართობის გამოყენებისათვის არსებულ სახლებში და ჩასახლებისათვის ახალ სახლებში მუშა კლასის ინტერესების მიხედვით, აგრეთვე შეიმუშაოს საერთო პრინციპები საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი სადგომების ტარიფების ჩამოყალიბებისათვის;

გ) საერთო ზედამხედველობა გაუწიოს არსებული საცხოვრებელი ფონდის ექსპლოატაციას, ვის გამგებლობაშიაც უნდა იყოს ეს ფონდი;

დ) შეიმუშაოს საერთო ღონისძიებანი არსებული საცხოვრებელი ფონდის რეკონსტრუქციისათვის ყოფაცხოვრების განსაზოგადოების საფუძველზე;

ე) ხელმძღვანელობა გაუწიოს სახლის ბიუჯეტის ნორმალიზაციას;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ) საერთო რეგულირება გაუწიოს საბინაო მეურნეობების მმართველობის ფორმის საკითხებს;

ზ) რეგულირება გაუწიოს საბინაო-საიჯარო და საბინაო-სამშენებლო კოოპერაციის მოქმედებას;

თ) ხელმძღვანელობა გაუწიოს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისრების მოქმედებას მშენებლობის სფეროში მშრომელთათვის კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურეობის გასაწევად;

ი) ხელი შეუწყოს სამუშე ბინათმშენებლობის კოოპერაციის განვითარებას;

კ) ზედამხედველობა გაუწიოს საბინაო მშენებლობისა და მეურნეობისათვის დანიშნულ სახსართა სათანადოდ გამოყენებას;

ლ) საერთო რეგულირება გაუწიოს სასტუმროებისა და სავაპრო-სასაწყობო სადგომების ექსპლოატაციას და მშენებლობას.

არასამრეწველო მშენებლობის რეგულირების სფეროში:

ა) გაუწიოს ტეხნიკურ-ეკონომიური რეგულირება არასამრეწველო მშენებლობას (საცხოვრებელი სახლებისა, სკოლებისა, საავადმყოფოებისა, საადმინისტრაციო შენობებისა, ბაღაებისა, კინოებისა, კლუბებისა და სხვა მისთ.) იმისდამიუხედავად, ვინ ანხორციელებს და ვინ აფინანსებს ამ მშენებლობას;

ბ) ხელმძღვანელობა გაუწიოს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატების მუშაობას არასამრეწველო მშენებლობისათვის კონტროლის ორგანიზაციისა და ტეხნიკურ-ეკონომიური რეგულირების გაწევის სფეროში;

გ) შეიმუშაოს და გამოსცეს ტიპური პროექტები არასამრეწველო მშენებლობისათვის;

დ) დაამტკიცოს, დადგენილი ლიმიტების შესაბამისად, არასამრეწველო და კომუნალური მშენებლობის პროექტები; განიხილოს, განსაკუთრებული კანონით დადგენილ წესისამებრ, საუწყებო წესით დასამტკიცებელი არასამრეწველო მშენებლობის პროექტები;

ე) შეიმუშაოს და გამოსცეს ნორმები, წესები, ინსტრუქციები, დადგენილებები და ლიმიტები არასამრეწველო მშენებლობისათვის და ზედამხედველობა გაუწიოს მათ აღსრულებას;

ვ) ხელმძღვანელობა გაუწიოს საცდელ ბინათმშენებლობას, რასაც კომუნალური მეურნეობის რესპუბლიკანური ორგანოები აწარმოებენ;

ზ) საერთო ხელმძღვანელობა გაუწიოს და ხელი შეუწყოს სასტანდარტო საბინაო მშენებლობის განვითარებას;

თ) შეიმუშაოს ღონისძიებანი საბინაო და სხვა სახის არასამრეწველო მშენებლობის გასაიაფებლად და თვისების გასაუმჯობესებლად;

ი) ხელმძღვანელობა გაუწიოს ცეცხლ-სეისმო-მძღე მშენებლობას;

კ) მოაწყოს და ხელმძღვანელობა გაუწიოს საბინაო და სხვა სახის არასამრეწველო მშენებლობის საპროექტო კონტორებს (ტრესტებს);

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლ) მოაწყოს ამიერკავკასიის სამშენებლო კონტორა და საერთო ხელმძღვანელობა გაუწიოს რესპუბლიკებში მოსაწყობ სამშენებლო კონტორებს;

მ) საერთო რეგულირება გაუწიოს კერძო ბინათმშენებლობას.

კომუნალური კეთილმოწყობის სფეროში:

ა) შეიმუშაოს საერთო ღონისძიებანი, რაც მიმართულ იქნება ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების დასახლებული ადგილების კეთილმოწყობის წარმატებისათვის;

ბ) ხელმძღვანელობა გაუწიოს დასახლებული ადგილების წყალმიმწოდებელ და გამსუფთავებელ ახალ გამართულობათა მშენებლობას და არსებულთა ექსპლოატაციას;

გ) ხელმძღვანელობა გაუწიოს ქალაქებში მასსური მიმოსვლის საშუალებათა (ტრამვაი, ავტობუსები, ტაქსები) განვითარებას და საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის ექსპლოატაციის გაუმჯობესებას;

დ) საერთო ხელმძღვანელობა გაუწიოს საბანო-სამრეცხველო საქმეს;

ე) შეიმუშაოს ღონისძიებანი ქალაქების და სხვა დასახლებული პუნქტების ენერგეტიული მეურნეობის (ელექტროსადგურები, გაზოფიკაცია, თბოფიკაცია) განვითარებისათვის და ყოფაცხოვრების სფეროში ელექტროფიკაციის შთანერგისათვის;

ვ) განახორციელოს ღონისძიებანი ქალაქებსა და დაბებში საგზაო-სახიდე მეურნეობის განვითარებისა და გაუმჯობესებისათვის;

ზ) საერთო რეგულირება გაუწიოს სამიწისქვეშეთო ნაგებობათა მოწყობას;

თ) ტეხნიკურ-ეკონომიური რეგულირება გაუწიოს და ქალაქის მიწების ფარგლებში განსახორციელებელ საინჟენერო ნაგებობათ (მდინარეების რეგულირება, მეწყერებთან ბრძოლა, სამელიორაციო სამუშაოები, წყალსაქცევები) და დამტკიცოს ამ ნაგებობათა პროექტები;

ი) საერთო რეგულირება გაუწიოს კომუნალურ მომსახურეობათა ტარიფებს;

საადგილმამულო მეურნეობისა და გარეგანი კეთილმოწყობის სფეროში:

ა) საერთო ხელმძღვანელობა გაუწიოს საქალაქო მიწების საადგილმამულო-სამეურნეო მოწყობის საქმის განხორციელებას;

ბ) ხელი შეუწყოს საქალაქო მიწებზე ინტენსიური სასოფლო-სამეურნეო კულტურების განვითარებას (ბოსტნებისა, ბაღებისა, ვენახებისა და სხვ. მისათ.);

გ) განახორციელოს ღონისძიებანი, რაც უზრუნველჰოფს საქალაქო მიწათსარგებლობის განსაზოგადოებული ფორმების განვითარებას;

დ) საერთო რეგულირება გაუწიოს ქალაქებსა და დაბებში მიწის ნაკვეთების საიჯარო ქირას;

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ე) საერთო ხელმძღვანელობა გაუწიოს ქალაქებისა და დაბების გამწვანების საქმეს, საბაღე-საპარკო მეურნეობის დაწარგვას, კულტურისა და დასასვენებელი პარკებისა და ქუჩების განათების მოწყობის საქმეს;

ვ) საერთო ხელმძღვანელობა გაუწიოს სამარხი საქმის მოწყობას (კრემატორიების აგებას და სხვ.).

სახანძრო დაცვის სფეროში:

ა) ხელმძღვანელობა, კონტროლი და ზედამხედველობა გაუწიოს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკებში სახანძრო დაცვის ძდგომარეობას და კომუნალური, საყოფაცხოვრებო და საზოგადოებრივი სახანძრო ორგანიზაციების მოქმედებას; ავრეთვე გააერთიანოს ამ ორგანიზაციების მუშაობა;

ბ) საერთო კონტროლი გაუწიოს გამხედრებულ სახანძრო დაცვას;

გ) შეიმუშაოს სახანძრო ღონისძიებათა საერთო-სახელმწიფოებრივი გეგმა და ხელმძღვანელობა გაუწიოს ამ გეგმის განხორციელებას;

დ) ხელი შეუწყოს სათანადო ინფორმაციების მიერ საერთო-სახელმწიფოებრივი ხასიათის ღონისძიებათა განხორციელებას ცეცხლმქრ მშენებლობისა და კოლექტიური მეურნეობებისათვის, საბჭოთა მეურნეობებისათვის, სოფლებისათვის და ქალაქებისათვის წყლის მიწოდების საქმეში;

ე) ხელი შეუწყოს სახანძრო სატეხნიკო განათლების განხორციელებას და თვალყური ადევნოს ამ საქმის დაყენებას სახანძრო დაცვის საერთო გეგმის შესაბამისად;

ვ) აწარმოოს მოსახლეობაში ხანძრის საწინააღმდეგო ცნობების ფართო პოპულარიზაცია და ხელი შეუწყოს ეროვნულ ენებზე სახანძრო-სატეხნიკო ლიტერატურის გამოცემას;

ზ) საერთო ხელმძღვანელობა გაუწიოს ცეცხლის ავტომატური ჩაქრობის საქმეს, სახანძარო სიგნალიზაციას და სხვა სახის სახანძრო გაწყობილობის გამართვას; ავრეთვე ზედამხედველობა და კონტროლი გაუწიოს მათ სათანადო მდგომარეობას;

თ) ხელმძღვანელობა გაუწიოს სახანძრო ინვენტარისა, გაწყობილობისა და მომარაგების ტეხნიკურ ნორმალიზაციას და ზედამხედველობა იქონიოს სახმარებლად გამოსაშვები გაწყობილობის თვისებისათვის;

ი) შეიმუშაოს და დამტკიცოს სანებაყოფლო (მოხალისეთა) სახანძრო ორგანიზაციების ნორმალური წესდებები;

კ) გამოსცეს სახანძრო დაცვის სანიმუშო ნორმები სახანძრო ინვენტარისა, გაწყობილობისა და მომარაგების დარგში.

საშენი მასალით და გაწყობილობით მომარაგების სფეროში:

ა) გამოარკვიოს კომუნალური და საბინაო მეურნეობისა და მშენებლობის მოთხოვნილებანი საშენი მასალისა და გაწყობილობისადმი და წარუდგინოს მრეწველობას სათანადო განცხადებანი;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) გეგმაშეწონილად გაანაწილოს საშენი მასალა და გაწყობილობა კომუნალური და საბინაო მეურნეობისა და მშენებლობის საჭიროებათათვის დადგენილი ფონდების ფარგლებში;

გ) რეგულირება გაუწიოს საშენი მასალის და გაწყობილობის გამოყენებასა და გარდანაწილებას გამოყოფილი ფონდების ფარგლებში;

დ) აღნუსხოს და კონტროლი გაუწიოს რეგულირებული საშენი მასალისა და გაწყობილობის რაციონალურ გამოყენებასა და ხარჯვას;

ე) იხმაროს ღონისძიებანი კომუნალური ორგანოების სისტემაში ადგილობრივი საშენი მასალის წარმოების განვითარებისათვის;

ვ) შეიმუშაოს და განაბორციელოს ღონისძიებანი უაღრესად დეფიციტიანი საშენი მასალის ნაკლებად დეფიციტიანი მასალით შეცვლისათვის;

ზ) დაგეგმოს მოთხოვნილება სახანძარო გაწყობილობის საგნებისადმი და გაანაწილოს ყველა მომხმარებელი ამ საგნებისა დაინტერესებულ ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს შორის.

შრომისა და მუშა-ძალის სფეროში:

ა) გამოარკვიოს კომუნალური და საბინაო მეურნეობისა და მშენებლობის, სხვათა შორის საბინაო კოოპერაციის, მოთხოვნილებანი უმაღლესი, საშუალო და დაბალი კვალიფიკაციის მუშა-ძალის კადრებისადმი და აგრეთვე შეადგინოს ამ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების გეგმა;

ბ) ხელმძღვანელობა გაუწიოს კომუნალური და საბინაო მეურნეობისა და მშენებლობის და სახანძარო დაცვისათვის საჭირო კადრების მომზადების საქმეს;

გ) ხელმძღვანელობა გაუწიოს ა/კსფარ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატის უშუალოდ ქვემდებარე სასწავლებლების მოქმედებას, მისცეს მათ მუშაობას საერთო მიმართულება, დაამტკიცოს მათი ბიუჯეტები, დანიშნოს მათი ხელმძღვანელნი, განიხილოს მათი სასწავლო გეგმები და პროგრამები და სხვა მისთ.;

დ) გეგმაშეწონილად გაანაწილოს სპეციალისტები, რომელნიც კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატის სასწავლებლებს ათავებენ;

ე) მოამზადოს და გაანაწილოს კომუნალურ მომუშავეთა ხელმძღვანელი სამეურნეო კადრები;

ვ) თვალყური ადევნოს ღონისძიებათა განხორციელებას კომუნალურ და საბინაო მეურნეობაში სოციალისტური შეჯიბრებისა და დამკვრელობის გაშლისათვის;

ზ) შეიმუშაოს ღონისძიებანი კომუნალურ და საბინაო მეურნეობაში შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის და ხელი შეუწყოს მუშათა გამომგონებლობას; ხელმძღვანელობა გაუწიოს რაციონალიზაციისა და გამომგონებლობის ადგილობრივი ბიუროების მოქმედებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღნუსხვისა და სტატისტიკის სფეროში:

ა) საერთო ხელმძღვანელობა გაუწიოს აღნუსხვისა და ანგარიშგების საქმის დაყენებას კომუნალურ და საბინაო მეურნეობაში;

ბ) დაამყაროს კომუნალურ და საბინაო მეურნეობასა და მშენებლობაში საბუხჰალტრო და სასტატისტიკო აღნუსხვისა და ანგარიშგების წესი და ფორმები;

გ) აწარმოოს სტატისტიკური და ეკონომიური გამოკვლევანი საბინაო და კომუნალური მეურნეობის სფეროში;

დ) აღნუსხოს ა/კსფსრ დასახლებული პუნქტები, შეჰკრიფოს, სისტემატიზაცია გაუკეთოს და დაამუშაოს ცნობები ქალაქებისა და სამუშე, სააგარაკო და საკურორტო დაბების და ქალაქების მდგომარეობისა და განვითარების შესახებ;

ე) მისცეს დასკვნები დასახლებული ადგილების ერთი კატეგორიიდან სხვა კატეგორიაში გადარიცხვისა და სოფელ-ადგილების ქალაქის ფარგლებში ჩარიცხვის საკითხების გამო;

ვ) მოაწყოს და აწარმოოს საკონიუნქტურო დაკვირვებანი კომუნალური და საბინაო მშენებლობის სფეროში;

ზ) ხელმძღვანელობა გაუწიოს კომუნალური ქონებისა და საერთო სარგებლობის ქონების ინვენტარიზაციის ჩატარებას, ვის გამგებლობაშიაც უნდა იყოს ეს ქონება.

მმართველობის სფეროში:

ა) შეიმუშაოს კომუნალური მეურნეობის ადგილობრივი ორგანოების აგებულობისა, მათი სანიმუშო სტრუქტურის და შტატების საკითხები;

ბ) თვალყური ადევნოს კომუნალური ორგანოების მუშაობის რაციონალიზაციისა და გაუმჯობესების ღონისძიებათა განხორციელებას;

გ) ხელმძღვანელობა გაუწიოს იმ ღონისძიებათა განხორციელების საკითხებს, რაც მიმართულია კომუნალური და საბინაო მეურნეობის მმართველობაში მშრომელთა მასსების ფართოდ ჩაბმისათვის.

5. კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატისათვის დაკისრებული ამოცანების განსახორციელებლად მას უფლება აქვს:

ა) შეიმუშაოს და შეიტანოს საკანონმდებლო ორგანოებში დადგენილებათა პროექტები იმ საკითხების თაობაზე, რაც ეხება ა/კსფსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატის გამგებლობას;

ბ) შეიმუშაოს და გამოსცეს დადგენილებები, ცირკულიარები, ინსტრუქციები, წესები და სხვა საუწყებო აქტები თავისი კომპეტენციის საკითხების თაობაზე, არასამრეწველო მშენებლობის შესახები დადგენილებებისა და ბრძანებების გამოუკლებლად;

გ) შეაჩეროს, შესცვალოს და გააუქმოს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატების დადგენილებანი და განკარგულებანი, უკეთუ ეს დადგენილებანი და განკარგულებანი არ შეესაბამებიან მომქმედ კანონმდებლობას ან ა/კსფსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატის დირექტივებს და განკარგულებებს;

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკეთუ ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატების დადგენილებანი ემყარებიან რესპუბლიკანური ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტებისა და სახალხო კომისართა საბჭოების უშუალო განკარგულებებსა და დირექტივებს, ა/კსფსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატი განაპროტესტებს აღნიშნულ დადგენილებებს არსებული წესისამებრ;

დ) განკარგოს ა/კსფსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატის ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული ყველა სახსარი და კრედიტი;

ე) მოაწყოს სამშენებლო და საპროექტო კონტორები, შენაერთები, სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტები და სამეურნეო ანგარიშზე მყოფი სხვა ორგანიზაციები ა/კსფსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატის მიერ დასაგეგმადი მეურნეობისა და მშენებლობის დარგებისათვის და ხელმძღვანელობა გაუწიოს მათ მუშაობას;

ვ) მოაწყოს, არსებული წესისამებრ, კომუნალურ მომუშავეთა კადრების მოსამზადებელად სასწავლებლები, კურსები, სკოლები და სხვა მისთ. და ხელმძღვანელობა გაუწიოს მათ მოქმედებას;

ზ) შექმნას, სპეციალური კანონების საფუძველზე, განსაკუთრებული ფონდები და კაპიტალები კომუნალური და საბინაო მეურნეობისათვის და განკარგოს ეს ფონდები და კაპიტალები; მოიწვიოს, არსებული წესისამებრ, კომუნალურ მომუშავეთა ამიერკავკასიის ყრილობები.

6. ა/კსფსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატის სათავეში სდგას კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარი.

კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისართან განწესებულია მისი მოადგილე და ა/კსფსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატის კოლეგია.

7. კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარისა და მისი მოადგილის და კოლეგიის წევრების უფლება-მოვალეობა განისაზღვრება სახალხო კომისარიატების საერთო დებულებით.

8. ა/კსფსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატის სტრუქტურა და შტატები განისაზღვრება ამიერკავკასიის მუშათა და გლეხთა ისპექციასთან შეთანხმებით.

9. ა/კსფსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატის მიერ დასამტკიცებელი ტეხნიკური პროექტების განსახილველად და აგრეთვე ქალაქებისა და დაბების მშენებლობის და რეკონსტრუქციის სფეროში ძირითადი ტეხნიკური პრობლემების გამო კონსულტაციებისა და დასკვნების მისაცემად ა/კსფსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატთან არსებობს სამეცნიერო-სატეხნიკო საბჭო, რომელიც მოქმედობს განსაკუთრებული დებულების საფუძველზე.

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ა. ანანიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **გ. ხულთანოვი.**

1931 წ. აგვისტოს 2.
ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

178. „ხანძარისაგან ტყეების დაცვის თაობაზე“ გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების გაუქმების შესახებ.

„ა/კსფსრ-ში ხანძარისაგან ტყეების დაცვის შესახებ“ გამოცემულ ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. ივნისის 26-ის დადგენილებასთან დაკავშირებით—ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1924 წ. ნოემბრის 24-ის დადგენილება „ხანძარისაგან ტყეების დაცვის შესახებ“ (ა/კსფსრ კან. კრ. 1924 წ. მე-9 №-ი, მუხ. 293) გაუქმებულ იქნეს.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **ა. ანანიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **გ. სულთანოვი.**

1931 წ. აგვისტოს 6.
ტფილისი.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

179. სასოფლო საბჭოების დათვალიერების თვიურის ჩატარების შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. ჩატარებულ იქნეს 1931 წლის აგვისტოს განმავლობაში სასოფლო საბჭოების მუშაობის გარდაქმნის დათვალიერების თვიური იმის გამოსარკვევად, თუ რამდენად იბრუნეს მათ პირი სამეურნეო-საფინანსო და პოლიტიკური საკითხებისაკენ (საკოლმეურნეო მოძრაობა, შინაგანი რესსურსების მობილიზაცია;

ჭირნახულის დამუშავებისა და აღებისა, დამზადებისა და სხვა კამპანიების უკეთესად ჩატარება).

2. ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილებამ უნდა შეიმუშაოს ადგილებისათვის დირექტივები დათვალიერების თვიურის ამოცანებისა და ჩატარების გეგმის შესახებ.

3. მოწყობილ იქნეს ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის წევრების რაიონებში გასვლა დათვალიერების თვიურის განმავლობაში. მიეცდოს ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილებას შეადგინოს ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასოულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის აღნიშნული წევრების სია და წარუდგინოს იგი საბოლოო დამტკიცებისათვის ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მცირე პრეზიდიუმს.

4. მობილიზებულ იქნენ ამიერკავკასიის ორგანიზაციების მომუშავენი—20 კაცი—და წარიგზავნონ რაიონებში დათვალიერების თვიურის მოწყობის საქმეში დასახმარებლად.

ამის გარდა, საორგანიზაციო განყოფილებამ უნდა შეიმუშაოს ღონისძიებანი რაიონებთან კავშირის დასამყარებლიდ და წარუდგინოს ეს ღონისძიებანი შესათანხმებლად ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს და მდივანს.

5. საპიროდ იქნეს ცნობილი სასოფლო საბჭოების დაპრემირება უკეთესი მუშაობისათვის.

სასოფლო საბჭოების დაპრემირების ჯომისიაში შევლენ ამხანაგნი: **გ. სულთანოვი, ვ. პავერმანი, გ. ვეზიროვი, ნ. ავისი, ა. გიორგაძე, ს. თოდრია, რ. დაშთოიანი და ნ. რაჰიმოვი.**

წინადადება მიეცეს ამ კომისიას—გამოსძებნოს დაპრემირების ფონდი და წარუდგინოს ამიერკავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს პროექტი დადგენილებისა სასოფლო საბჭოების დაპრემირების წესის შესახებ.

6. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს—ფართოდ გაშალონ მუშაობა სასოფლო საბჭოების მუშაობის დათვალიერების თვიურის საუკეთესოდ ჩატარებისათვის.

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ა. ანანიანი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **გ. სულთანოვი.**

1931 წ. აგვისტოს 2.
ტფილისი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 219 №-ში 1931 წ. აგვისტოს 10-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

180. ა/კსფსრ-ის დაარსების დღიდან ათი წლის შესრულების გამო დღესასწაულის ჩატარების შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

ა/კსფსრ-ის დაარსების დღიდან ათი წლის შესრულების აღსანიშნავად და საამისო დღესასწაულის ჩასატარებლად მოწყობილ იქნეს ამიერკავკასიის კომისია შემდეგი შედგენილობით: ამხანაგნი 1) გ. მუსაბეკოვი (თავმჯდომარე), 2) ფ. მახარაძე, 3) ა. ანანიანი, 4) ლ. ქართველიშვილი, 5) მ. ორახელაშვილი, 6) გ. სულთანოვი, 7) ს. ტერ-გაბრიელიანი, 8) ლ. სუხიშვილი, 9) დ. ბუნიატზადე, 10) ა. დოდადოვი, 11) მ. ტერ-ეგიაზარიანი, 12) ა. გიორგაძე, 13) ვ. პარუშინი, 14) გ. მგალობლიშვილი, 15) ნ. სვანიძე, 16) ვ. ასრიბეკოვი, 17) ლევშიცი, 18) იპპო, 19) ფედკო, 20) ლისოვსკი, 21) ვერშკოვი, 22) დევდარიანი, 23) მ. მამედდვი—აზერბაიჯანის სსრ განათლების სახალხო კომისარი, 24) სიმონიანი—სომხეთის სსრ განათლების სახალხო კომისარი, 25) ა. კვირიკაძე—საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარი, 26) ნ. ლაკობა—აფხაზეთის სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი, 27) ზ. ლორთქიფანიძე—აჭარისტანის სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი, 28) ჯათიევი—სამხრეთოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი, 29) ბ. ველიბეკოვი—ნახიჩევანის სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი, 30) ნ. სტეფანიანი—მთის ყარაბაღის ავტონომიური ოლქის საოლქო კომიტეტი; რესპუბლიკების პროფესიონალურ კავშირთა საბჭოების თავმჯდომარენი: 1) გალოიანი—სომხეთის სსრ, 2) ამირასლანოვი—აზერბაიჯანის სსრ, 3) ანთიძე—საქართველოს სსრ; რესპუბლიკების ცენტრალური კომიტეტების სააგიტაციო-სამასსო მუშაობის განყოფილებათა გამგენი: 1) ხოშტარია—საქართველოს სსრ, 2) ესაიანი—სომხეთის სსრ, 3) მაბუთ ზეინალოვი—აზერბაიჯანის სსრ; რესპუბლიკების ცენტრალური კომიტეტების კულტურულ-საპროპაგანდო განყოფილებათა გამგენი:—1) იზმაილოვი—ა/კ. სამხარეო კომიტეტი, 2) ბედია—საქართველოს სსრ, 3) ალფეროვი—აზერბაიჯანის სსრ, 4) ადამიანი—სომხეთის სსრ, 5) ეფენდიევი—აზერბაიჯანის ნავთის ინსტიტუტი, 6) შარია—მარქსიზმის და ლენინიზმის ინსტიტუტი, 7) რახმეტოვი—შაუმიანის ინსტიტუტი, 8) კილლეროგი, 9) ს. ხუნდაძე—ისტორიკოსები; 10) ბალახინი—ბაქოს საბჭო, 11) ასრიევი—ერივანის საბჭო, 12) მაჩაიძე—ტფილისის საბჭო; 13) მირყულიევი—წითელი დროშის ორდენიანი, ბაქოს მუშა, 14) ვაიშტეკი—დამკვრელი მუშა-ქალი, ა/კ. ცენ. აღმ. კ-ტის წევრი, 15) კაპილიუშნიკოვი—ინჟენერ-გამომგონებელი, წითელი დროშის ორდენიანი, 16) ხაჩო ჯუოკაევნი, ლენინაკანის მუშა, ა/კ. ცენ. აღმ. კ-ტის წევ., 17) ისმაილ სეიფული—ბაქოს მუშა, ბუბტისა, 18) კერესელიძე—ლპარტიო, ტფილისის დამკვრელი მუშა, ა/კ. ცენ. აღმ. კ-ტის წევრი, 19) მაპერამოვა—ბაქოს დამკვრელი მუშა-ქალი, 20) სევერიანე მასხულია, შრომის გმირი,

ტფილისი, 21) ა. აღამალიანი—დამკრელი მუშა, ძორაგესი, 22) დარსელია—კოლმეურნე, ა/კ. ცენ. აღმ. კ-ტის წევრი, 23) ბარკაია—ა/კ. ცენ. აღმ. კ-ტის საორგანიზაციო განყოფილება, 24) ავისი—ა/კ. საკოლმეურნეო ცენტრი, 25) მირკადიროვა.

2. მიენდოს 1-ლ მუხლში აღნიშნულ კომისიას—გამოჰყოს თავის შედგენილობიდან, ერთი დეკადის ვადაზე, მომუშავე კომისია, რომელსაც დაავალოს შეიმუშაოს ერთი თვის ვადაზე ა/კსფსრ ათი წლის დღესასწაულის გეგმა და წარუდგინოს იგი დასამტკიცებლად ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს.

3. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს—დაარსონ ა/კსფსრ ათი წლის დღესასწაულის ჩამტარებელი კომისიები და დაავალონ მათ შეადგინონ ორი თვის ვადაზე ა/კსფსრ ათი წლის დღესასწაულის გეგმები 1-ლ მუხლში აღნიშნული მომუშავე კომისიის მიერ შედგენილი გეგმის საფუძველზე და ეს გეგმები, ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესფუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების მიერ დამტკიცების შემდეგ, წარუდგინონ დასადასტურებლად ამიერკავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **ა. ანანიანი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **გ. სულთანოვი.**

1931 წ. აგვისტოს 2.
ტფილისი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 214 №-ში 1931 წ. აგვისტოს 6-ს.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

181. კავკასიის წითელდროშიანი არმიის ნაწილებისათვის გარდამავალი პრიზების დაარსების შესახებ.

რადგანაც კავკასიის წითელდროშიანი არმია, საბჭოთა საზღვრების სადარაჯოზე მდგარი, დიდის წარმატებით და გამძფრებით მუშაობს თავისი საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების ასამაღლებლად და განსამტკიცებლად, ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი აღგენს:

1. კავკასიის წითელდროშიანი არმიის ყველა ნაწილისა და შენაერთის ზემოაღნიშნული მუშაობის წახალისებისა, სტიმულირებისა და გაძლიერების მიზ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნით დაარსებულ იქნეს გარდამავალი სადივიზიო პრიზი უკეთესი პოლიტიკური, ტაქტიკური, სასროლო და ფიზიკური მომზადებისათვის და აგრეთვე წითელარმიელთა და თავმდგომთა შედგენილობის დისციპლინის მდგომარეობისათვის.

გარდამავალ სადივიზიო პრიზად ჩაითვალოს ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დროშა.

2. გარდამავალი დროშით დაჯილდოებულ ჯარის შენაერთთა წახალისების მიზნითვე გადაიცეს კავკასიის წითელდროშიანი არმიის რევოლიუციონური სამხედრო საბჭოს განკარგულებაში 1931 წელს 10.000 მან. აღნიშნულ შენაერთთა დასაპრემირებლად.

3. მიზანშეწონილად იქნეს ცნობილი:

ა. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების გარდამავალი სალეგიონო პრიზების დაარსება:

ა) უკეთესი ტაქტიკური მომზადებისათვის—აზერბაიჯანის სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დროშა;

ბ) უკეთესი ფიზიკური მომზადებისათვის—სომხეთის სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დროშა;

გ) უკეთესი სასროლო მომზადებისათვის—საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დროშა.

ბ. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების მიერ 1931 წ. კავკასიის წითელდროშიანი არმიის რევოლიუციონური სამხედრო საბჭოს განკარგულებაში სახსართა გაღება მე-2 მუხლში აღნიშნული მიზნისათვის—ხუთი ათასი მან. რაოდენობით თითო რესპუბლიკისაგან.

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ა. ანანიანი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **გ. სულთანოვი.**

1931 წ. აგვისტოს 2.
ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

182. ბათუმის საქალაქო საბჭოს თავმჯდომარის ამხ. გიორგაძისა და ამიერკავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული საბჭოთა მშენებლობისა და სამართლის ინსტიტუტის ბრიგადის მოხსენებების გამო — ბათუმის საქალაქო საბჭოს საორგანიზაციო-მასსური მუშაობის გარდაქმნის საქმის მდგომარეობის შესახებ.

მოისმინა-რა ბათუმის საქალაქო საბჭოს თავმჯდომარის ამხ. გიორგაძისა და ამიერკავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული საბჭოთა მშენებლობისა და სამართლის ინსტიტუტის ბრიგადის მოხსენებანი ამ საქალაქო საბჭოს სსორგანიზაციო-მასსური მუშაობის გარდაქმნის საქმის მდგომარეობის შესახებ, ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი აღნიშნავს, რომ საორგანიზაციო-მასსური მუშაობის გარდაქმნაში სჩანს პირის შებრუნება წარმოებისა და კოლექტივიზაციისაკენ (საბჭოს ჯგუფების მოწყობა წარმოებაში, სექციების მუშაობის გაძლიერება და გუუმჯობესება, ქალთა შორის მუშაობის გაძლიერება, განსაკუთრებით აჭარელ-ქალებს შორის); ამასთანავე აღსანიშნავია ისიც, რომ ბათუმის საქალაქო საბჭომ სუსტად გარდაქმნა რეკონსტრუქციის პერიოდის შესაბამისი თავისი მუშაობა, რის გამოც მის მუშაობას თანა სდევს შემდეგი ნაკლოვანებანი:

ა) საკმარისად არ არის განვითარებული პრაქტიკული ხელმძღვანელობა და დახმარება სექციების გარდაქმნისათვის (სადარგო-საწარმოო პრინციპზე);

ბ) სუსტია საბჭოს ჯგუფების ქსელი წარმოებაში, რის გამოც სექციები აქამდე ვერ დაეუფლნენ ხელმძღვანელობის ოპერატიულ ფუნქციებს (ტეხნიკის დაუფლება, სამეურნეო ანგარიში და სხვ.);

გ) არ არსებობს სისტემა აქტივთან მუშაობისა სახელმწიფო აპარატის ძირითად ელემენტებით გაძლიერების საქმეში (პრაქტიკულად გადაუწყვეტია საკითხი სოცშეთავსების შესახებ);

დ) ბიუროკრატიულად დამახინჯებულია ხელმძღვანელობა სოცშეჯიბრებისათვის საქალაქო საბჭოების სექციებს შორის (ხელშეკრულებების ზევიდან კონახი, არაკონკრეტული ხელშეკრულებების დადება, აღსრულების კონტროლის სისტემის უქონლობა);

ე) არ არსებობს სისტემატიური კონტროლი საწარმოთა სამეურნეო ანგარიშზე გადასვლისათვის, კოოპერატიული ორგანიზაციების გარდაქმნისათვის სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტისა, სახალხო კომისართა საბჭოს და სამომხმარებლო კოოპერაციის ცენტრალური კავშირის დადგენილების საფუძველზე და ქალაქის სამრეწველო საწარმოთა კადრების მომზადებისათვის;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ) აქამდე ფაქტიურად მოწყობილი არ არის საქალაქო საბჭოს საორგანიზაციო-სამმასსო განყოფილება;

ზ) განსაზოგადებული არ არის ამომრჩეველთა განაწესები და საქალაქო საბჭოს სექციებისა, საბჭოს ჯგუფებისა და განყოფილებების მუშაობა წარმართული როდია განაწესების აღსრულების ხაზით.

რათა ყოველმხრივი დაჩქარებულ იქნეს სამრეწველო საწარმოთა და კოლექტიურ და საბჭოთა მეურნეობების უკვე დაწყებული და ახლად დასაწყები მშენებლობა, აგრეთვე, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ხუთწლედის მესამე გადამწყვეტი წლის ამოცანების უცილობლად აღსრულება სამრეწველო, სამეურნეო და კულტურულ-სოციალური მშენებლობის სფეროში, ამერიკაკაკსიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

I. წინადადება მიეცეს ბათუმის საქალაქო საბჭოს:

1) ყოველგზით განამტკიცოს და განავითაროს უკვე მოპოებული წარმატებანი დეპუტატთა ჯგუფებისა და სექციების მუშაობაში, რისთვისაც გაძლიერებულ უნდა იქნეს საქალაქო საბჭოს პრეზიდიუმის მიერ ცოცხალი პრაქტიკული ხელმძღვანელობის გაწევა მათთვის, განსაკუთრებით-კი დეპუტატთა ჯგუფებისათვის ახალ საშენებლებზე;

2) მიაქციოს განსაკუთრებული ყურადღება ქალაქში ახალი დიდრონი ქარხნების მშენებლობას;

3) მოახდინოს სულ მოკლე ხანში იმ ნაკლოვანებათა და რღვევათა ლიკვიდაცია, რამაც თავი იჩინა ამა თუ იმ ცალკეულ სამრეწველო საწარმოში სამრეწველო-საფინანსო გეგმის შესრულების ხაზით, განსაკუთრებით სარკინისგზო კვანძის ხაზით;

4) დაამყაროს სისტემატიური კონტროლი, სექციებისა და დეპუტატთა ჯგუფების მეშვეობით, საწარმოთა და საამქროთა სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანისა და მათ მიერ თავიანთ სახელშეკრულებო ვალდებულებათა აღსრულებისათვის;

5) უზრუნველჰყოს ფართოდ გაშლილი სოციალისტური შეჯიბრებისა, დამკვრელობისა და შემხვედრი გეგმების საფუძველზე მუშათა კლასის აქტიობისა და ენერგიის უფრო მეტი გაძლიერება სამრეწველო-საფინანსო გეგმისა, თვისებრივი მაჩვენებლების წარმატებისა და თვითღირებულების შემცირებისათვის;

6) ფართოდ გაშალოს მასსური მუშაობა მუშათა ცოლებსა და დიასახლებს შორის წარმოებაში ქალთა ჩაბმისათვის, განსაკუთრებით აპარელი ქალებისა, რისთვისაც სრული სიმკვეთრით განხორციელებულ უნდა იქნეს საქალაქო საბჭოს მიერ დასახული ღონისძიებანი წარმოებაში მომუშავე ქალთა სოციალურ-საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად (ახალი სასადილოების გახსნა და არსებულთა გაფართოება, საბავშვო ბაღათა და საბავშვო ბაღთა მოწყობა, სამკერვალო-სარემონტო სახელოსნოების ქსელის გაფართოება, საზოგადოებრივი სამრეცხველეობის აშენება და სხვა მისთ.);

7) უკეთესად დააყენოს მუშაობა კვების პროდუქტებით და სამრეწველო საქონლით მუშების მომარაგებისათვის და უზრუნველჰყოს სამომხმარებლო კო-

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ოპერაციის მუშაობის თავისდროზე გარდაქმნა სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს, სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სამომხმარებლო კოოპერაციის ცენტრალური კავშირის მიერ ა/წ. მაისის 10-ის თარიღით სამომხმარებლო კოოპერაციის შესახებ გამოცემული მიმართვის საფუძველზე;

8) იხმაროს ღონისძიებანი მუშაობის უკეთესად ჩატარებისათვის ბოსტნების მოსავლელად და ბოსტნეულის მოსავლის ასაღებად სამომხმარებლო კოოპერაციის საგარეთუნნო მეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში და კოლექტიურ მეურნეობებში; უზრუნველჰყოს ბოსტნეული პროდუქტების თავის დროზე გამოზიდვა და შენახვა და ეცადოს, რომ საწარმონი მიმაგრებულ იქნენ საბჭოთა მეურნეობებზე და კოლექტიურ მეურნეობებზე მათთვის დახმარების გასაწევად ბოსტნეული პროდუქტების მოსავლის აღებისა და გამოზიდვის საქმეში; მოსავლის აღებისათვის საჭირო მუშაობაში ფართოდ უნდა იქნეს განვითარებული სოცშეჯიბრებისა და დამკვრელობის მეთოდები, რისთვისაც კოლექტიურ მეურნეობებსა, საბჭოთა მეურნეობებსა და სამომხმარებლო კოოპერაციის მეურნეობებში მომქმედი სადეპუტატო ჯგუფების მუშაობა ყოველმხრით გააქტიეებულ უნდა იქნეს.

9) მტკიცედ განაგრძოს თავისი მუშაობის გარდაქმნა წარმოებისა და კოლექტივიზაციისაკენ პირის მიქცევის ხაზით; თანაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საქალაქო მეურნეობის ორგანიზაციას; ყოველმხრივ გააუმჯობესოს მუშაობა მშრომელთა სოციალიურ - საყოფაცხოვრებო საჭიროებათათვის მომსახურეობის გასაწევად; უზრუნველჰყოს სპბინაო და კომუნალური მშენებლობისა და საავადყოფოებისა, სკოლებისა და კანალიზაციის მშენებლობის წარმატებით განხორციელება; იხმაროს გადამწყვეტი ღონისძიებანი ქალაქის კეთილმოწყობისა და სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის;

10) სექტემბრამდე შექმნას სპეციალიერი კურსები ქალაქის საჭმის სასექციო მუშაობისათვის აპარელ-ქალების მოსამზადებლად, აგრეთვე გახსნას სამდღიანი კურსები საბჭოთა ჯგუფების აქტივისათვის;

ამასთან ერთად მტკიცედ უნდა დადგეს სახელმწიფო აპარატის ძირითადი ელემენტებით გაძლიერების გზს, რისთვისაც საჭიროა შეიმუშაოს ერთი დეკადის ვადაზე კონკრეტუული გეგმა აპარისტანის ძირითადი ერებისაგან კადრების მომზადებისათვის;

11) გადააკეთოს სექციების მუშაობა საწარმოო-სადარგო ნიშნების მიხედვით; შექმნას აუცილებლად შემდეგი სექციები: სანავთო, სატყეო საქმისა და სატრანსპორტო; ჩაატაროს არსებული ბიუროების ხელახალი არჩევნები ისეთი მუშაობა უნარიანი ბიუროების შესაქმნელად, რომელთაც შეძლოთ ამაალ პირობებში მუშაობა; ამასთანავე, სექციების მუშაობა აგებულ უნდა იქნეს ბოლშევიკური შეჯიბრებისა და დამკვრელობის ფართოდ გაშლის საფუძველზე და დამყარებულ იქნეს კონტროლი სოცხელშეკრულებების შესრულებისათვის;

12) რადგანაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სოციალისტურ შეთავსებას,—სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს და სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის იმ დადგენილებასთან დაკა-ვ

ეროვნული ბიბლიოთეკა

შირებით, რომლითაც სრულიად მოსპობილია მუშების მობილზაცია და წარმოებისაგან ჩამოშორება მიმდინარე კამპანიების საჭიროებათათვის, აგრეთვე იმ გარემოებასთან დაკავშირებით, რომ სოციალისტური შეთავსება და ფაბრიკების შეფობა სახელმწიფო აპარატის მიმართ წარმოადგენს საბჭოთა აპარატის მთელ მუშაობაში პროლეტარული გავლენის განმტკიცების ფორმებს,—ჩაატაროს ერთი თვის ვადაზე:

ა) დაწინაურება არა ნაკლებ 30 მუშისა, განსაკუთრებით აპარელებისა, სოცშემთავსებელთა სასიი, რისთვისაც მათ წინასწარ უნდა გაიარონ მოკლევადიანი კურსები;

ბ) პროფესიონალურ კავშირთან ერთად—ფაბრიკებისა და ქარხნების შეფობა სახელმწიფო აპარატის მიმართ;

13) გაიღრმაოს საბჭოთა ჯგუფების მუშაობა და გადააქციოს ისინი ორგანიზატორებად და ინიციატორებად საწარმოთა სამეწველო-საფინანსო ეგების შესრულების საქმეში (და სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებისა) საბჭოთა ჯგუფები უნდა ჩადგნენ საკვალდაკვალო და საბუქსირო ბრიგადების ორგანიზაციის სათავეში; დაამყაროს სისტემა საბჭოთა ჯგუფებთან მუშაობისა, სპეციალური საკითხების გამო თათბირების სისტემატიურად მოწვევით, ცოცხალი ინსტრუქტაჟით, გადაძახებისა და საბჭოთა ჯგუფებისათვის თათბირკურსების მოწყობით და სხვა მისთ.; აგრეთვე განაგრძოს ყველა საწარმოში საბჭოთა ჯგუფების მოწყობა;

14) აწარმოოს გადამწყვეტი ბრძოლა ამომრჩეველთა განაწყისისადმი ფორმალურ-ბიუროკრატიული მოპყრობისა და პოლიტიკური თვალსაზრისით მისი არა სათანადოდ შეფასების წინააღმდეგ;

რადგანაც საქალაქო საბჭოს სექციებისა, საბჭოთა ჯგუფებისა და განყოფილებების ერთ-ერთ უაღრესი მნიშვნელობის მოვალეობას განაწესების აღსრულების ორგანიზაციულად შემოწმება შეადგენს,—თვითეული სექციაში გამოყოფილ უნდა იქნეს სპეციალური შემმოწმებელი ბრიგადა;

საბჭოთა ჯგუფებში გამოყოფილ უნდა იქნეს მუშაობა განაწესებისათვის, შეიქმნას სპეციალური ბრიგადები ან გამოიყოს საამქროებში განაწოლებისათვის პასუხისმგებელი პირნი და დაეკვალოს მათ—სისტემატიურად თვალყური ადევნონ განაწესის რეალიზაციას; უნდა მოიწყოს განაწესების აღსრულების მუდმივი შემოწმება და საბჭოთა ჯგუფების წევრების მორიგეობა ამომრჩეველებისათვის განაწესების აღსრულების მსვლელობის თაობაზე ცნობების მისაცემად;

15) შემოიღოს საქალაქო საბჭოს დეპუტატების მუშაობის სისტემაში სოციალისტურ დავალებათა აღსრულების მათ პირად საქმეში აღნუსხვა, რაც ამომრჩეველს მასალად გამოადგებათ დეპუტატის მუშაობის შესაფასებლად.

16) დაუფუძნებლივ მოწყოს საქალაქო საბჭოს საორგანიზაციო მასსური მუშაობის განყოფილება.

II. მიენდოს საქართველოს სსრ ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს გადასწყვიტოს საბოლოოდ ერთი თვის განმავლობაში ბათუმის საქალაქო საბჭოს ტერიტორიაზე მყოფ სასოფლო საბჭოებისათვის ხელმძღვანელობის გაწევის საკითხი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

III. მიენდოს ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილებას, ერთი თვის ვადის გასვლისას, შეამოწმოს ბათუმის საქალაქო საბჭოს მიერ ამა დადგენილების აღსრულება.

IV. მიენდოს ა/კსფსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატს—განიხილოს და დამამტკიცოს ბათუმის საქალაქო საბჭოს კომუნალური და საბინაო მშენებლობის ხუთი წლის გეგმა.

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ა. ანანიანი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **გ. სულთანოვი**

1931 წ. აგვისტოს 6.
ტფილისი.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა

183. ა/კსფსრ-ში სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის მუშაობის შესახებ.

მოისმინა-რა სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ამიერკავკასიის კავშირების წარმომადგენლების ამხანაგთა დ. ბოლქვაძისა, ა. ვანციანისა და ომაროვის მოხსენებანი ა/კსფსრ.-ში სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის სისტემის მუშაობის გარდაქმნისა, კადრებით განმტკიცებისა და სამეურნეო გეგმების შესრულების შედეგთა შესახებ,—ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი აღნიშნავს:

1. პარტიის დირექტივები ა/კსფსრ-ში სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის სისტემის გარდაქმნის შესახებ ძირითადად შესრულებულია; ამის შედეგია ის, რომ სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია პირისპირ დაუახლოვდა მოჯამაგირეთა და ღარიბ და საშუალო გლეხთა მასსების საწარმოო მასსურ კოოპერირებას და მან შესძლო თვალსაჩინოდ მოეცვა სოფლის მეურნეობის სასაქონლო პროდუქცია. ა/წ. მაისის 1-თვის კოოპერირებამ მიაღწია ა/კსფსრ მეურნეობათა საერთო რიცხვის 48,6%-ს და კოლექტივიზაციის საშუალო პროცენტი 34,3% უდრის.

2. ამასთან ერთად სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის მუშაობას აქვს მთელი რიგი არსებითი დეფექტები, რომელთა შორის უმთავრესი შემდეგია:

ა) სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციამ აქამდე ვერ წარმართა თავისი მუშაობა ისე, რომ მისი ქვედა რგოლეფულის ზრდა კოლექტიური მეურნეობად გარდაქმნის ხაზით მიმდინარეობდეს;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) არ არსებობს ფართოდ გაშლილი საორგანიზაციო-სამასსო მუშაობა სასოფლო კოოპერირებულ მასსებს შორის და გაშლილი არ არის მუშაობა სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის სისტემაში შრომის სოციალისტური ფორმების შთანერგისათვის თავიდან ბოლომდე (სოცშეჯიბრება, დამკვრელობა და საზოგადოებრივი ბუქსირი);

გ) სუსტად მიმდინარეობს შინაგანი რესსურსების სახსართა მობილიზაცია და მობილიზებული არ არის ფართო კოოპერირებული მასსების ყურადღება ამ უაღრესი მნიშვნელობის საქმის გარშემო;

დ) არ არსებობს სისტემატიური მუშაობა ღარიბებთან და მოჯამაგირეებთან და ზოგიერთგან სათანადოდ შეფასებული არ არის ღარიბთა და მოჯამაგირეთა ჯგუფების მოწყობის აუცილებლობა;

ე) არ არსებობს აგრეთვე სისტემატიური მუშაობა საინიციატივო ჯგუფების მოსაწყობად, რათა ქვედა რგოლეულის ზრდა კოლექტიურ მეურნეობებად გარდაქმნის ხაზით მიმდინარეობდეს;

ვ) თუმცა მუშაობა კადრების მომზადებისა და გარდამზადებისათვის სწარმოებს, მაინც სარაიონო და ქვედა რგოლეულები ჯერ კიდევ უზრუნველყოფილი არ არიან მომუშავეების საჭირო რიცხვით;

ვ) სამეურნეო მუშაობა საესებით როდი უზრუნველჰყოფს საგეგმო დავალებათა შესრულებას როგორც კონტრაქტაციის სფეროში, ისე დამზადებათა სფეროში;

ზ) ცალკეულ შემთხვევაში მუშაობა თვითდენაზეა მინებრებული და გამრუდებულია კლასობრივი ხაზი, რაც იმაში გამოიხატება, რომ მტკიცე დავალებათა გეგმა მიღწევინებული არ არის კულაკურ კომლამდე.

3. ამიერკავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს საჭიროდ მიაჩნია, რათა აღმოფხვრილ იქნეს შემჩნეული ნაკლოვანებანი და შემდგომში ფართოდ გაიშალოს მუშაობა სოფლად სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის განმტკიცებისათვის, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციამ:

ა) მთელი თავისი მუშაობა უნდა გარდაქმნას სისტემის ძირითად ამოცანების შესრულების ხაზით და გადაჭრით პირი იბრუნოს საკოლმეურნეო მშენებლობისაკენ, კოლექტივიზაციის საქმეში მოპოებულ წარმატებათა განმტკიცებით;

ბ) უნდა უზრუნველჰყოს მუშაობის შემდგომი გაძლიერება დასახლებულობათა ამხანაგობების კოლმეურნეობებად გარდაქმნისათვის;

გ) უნდა გააძლიეროს სისტემისათვის ხელმძღვანელობის გაწევა;

დ) უნდა უზრუნველჰყოს სოფლის მეურნეობის მთელი სასაქონლო პროდუქციის მოცა.

ამისდამიხედვით ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

ა. წინადადება მიეცეს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ამიერკავკასიის კავშირებს (ა/კ.-ჰურ-ცხოვ. კავშირს, ა/კ. ბაღბოსტანკავშირს, ა/კ. მებამბეობის კავშირს):

1) გაშალონ ფართო საორგანიზაციო სამასსო მუშაობა მოჯამაგირეთა, ღარიბთა და საშუალო გლეხთა მეურნეობის კოლექტიურ მეურნეობებში ჩაბმისათვის და აგრეთვე არსებული საწარმოო დასახლებულობათა ამხანაგობების კოლექტი-

ური მეურნეობების წესდებაზე გადაყვანისათვის ახალთა მოწყობით ან არსებულში შესვლით; ამასთანავე, დაცულ უნდა იქნეს ნებაყოფლობის პრინციპი;

2) ყველა საწარმოო დასახლებულობათა ამხანაგობაში შექმნან კოლექტივიზაციის საინიციატივო ჯგუფები;

3) ყველა საწარმოო ამხანაგობაში მოიწყონ მოჯამაგირეთა და ღარიბთა ჯგუფები, რომელთა მუშაობაც უნდა წარმართოს საწარმოო ამხანაგობების სასწრაფოდ სასოფლო-სამეურნეო არტელების წესდებაზე გადაყვანის გზით;

4) იხმარონ ღონისძიებანი, რათა ინდივიდუალურ მეურნეობებსა და კოლექტიურ მეურნეობებს შორის დამყარდეს ისეთი ურთიერთობა, რაც უზრუნველჰყოფს კოლექტიურ მეურნეობების საორგანიზაციო-საწარმოო ზედმოქმედებას ინდივიდუალურ საგლეხო მეურნეობებზე და ამ უკანასკნელთა ჩაბმას კოლექტიურ მეურნეობებში;

5) საწარმოო ამხანაგობების მთელი ოპერატიული-საწარმოო მუშაობა ააგონ მტკიცე სამეურნეო ანგარიშის პრინციპზე;

6) ფაროოდ შთანერგონ სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის მუშაობაში შრომის სოციალისტური ფორმები (სოცშეჯიბრება, დამკვრელობა და საზოგადოებრივი ბუქსირი) და მოაგვარონ აღსრულების შემოწმება და შეჯიბრებულთა ურთიერთი ინფორმაცია;

7) შექმნან პრემიალური ფონდები მთლად სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის სისტემის მიერ საგეგმო დავალებათა გადამეტებით შესრულების წახალისებისა და სტიმულირების მიზნით; ამ ფონდებში, სასოფლო სამეურნეო კოოპერაციის გარდა, მონაწილეობა უნდა მიიღონ აგრეთვე დამზადებათა ჩატარებით დაინტერესებულმა სამეურნეო ორგანიზაციებმა („სოიუზხლებ"-მა, „სოიუზმიასო-მ" „სოიუზკოვ"-მა, „სოიუზმოლოკო"-მ, „სოიუზშოლკ"-მა, „სოიუზტაბაკ"-მა და სხვ.);

8) ყოველმხრით გააძლიერონ საორგანიზაციო-სამასსო მუშაობა შინაგანი რესსურსების მობილიზაციის გარშემო და პირველ რიგში—საპაონო გადასახადების შეგროვების და სამანქანო ვალდებულებათა რეალიზაციისათვის;

რესსურსების მობილიზაციისათვის საჭირო მუშაობის სათანადო პლანირებისათვის გადასინჯულ და გაზუსტებულ უნდა იქნეს მე-3 და 4 კვარტალის საკონტროლო ციფრები, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის ზრდის სათვალავში მიღებთ;

იმ სარაიონო კოოპერატიული კავშირების მიმართ, რომელთაც 1-ლ და მე-2 კვარტალში ჩაშალეს რესსურსების მობილიზაცია, მიღებულ უნდა იქნეს საზედმოქმედო ღონისძიებანი საზოგადოებრივ-საჩვენებელი სასამართლო პროცესების მოწყობით; პროცესის შედეგი უნდა გამოქვეყნდეს პრესსაში;

9) ძირითადად დამმზადებელ ორგანიზაციად გადაქცევასთან ერთად—სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის სისტემამ უნდა გააძლიეროს თავისი საორგანიზაციო-ოპერატიული მუშაობა სოფლის მეურნეობის პროდუქციის დამზადების კონტრაქტაციის საქმეში;

ამ ამოცანების წარმატებით განხორციელებისათვის სისტემა უნდა ემყარებოდეს ქვედა სასოფლდ აქტივს;

ქვედა აქტივი შეიქმნება ყველა დასახლებულ პუნქტში კოლმეურნეთა, მოჯამაგირეთა, ღარიბ და საშუალო მეურნეთა, ქალ-დელეგატთა, კომკავშირელთა და სხვათაგან;

ქვედა აქტივი შეიქმნება ყველა სახის დამზადებისათვის, რასაც ანხორციელებს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია (ჰურის დამზადება, ოთხფეხი საქონლის დამზადება, ხორცის დამზადება, მატყლის დამზადება, მოუქნელი ტყავეულის დამზადება, ბამბის დამზადება, ტეხნიკური კულტურების დამზადებას, ხილეულ-ბოსტნეულის დამზადება, თამბაქოს დამზადება, აბრეშუმის დამზადება და სხვა მისთ.)

10) ქვედა აქტივი კონტრაქტაციისათვის და სოფლის მეურნეობის პროდუქციის დამზადებისათვის, სასოფლო საბჭოს ფარგლებში, გაერთიანდება სარაიონო კოოპერატიული კავშირის (სარაიონო განყოფილ.) საკონტრაქტაციო და სადამზადებლო ბრიგადებად;

ბრიგადები მუშაობენ უფროსი ორგანიზატორის ხელმძღვანელობით, რომელიც ამავე დროს სარაიონო კოოპერატიული კავშირის რწმუნებულია სოფლად;

11) ქვედა აქტივი გამოიყოფა კოლმეურნეთა, მოჯამაგირეთა, ღარიბ და საშუალო გლეხთა აქტივის შედგენილობიდან; საქიროა მომკრეფთა შედგენილობაში ფართოდ იქნეს ჩაბმულნი ახალგაზრდობა, დემობილიზებული წითელარმიელები, ქალი-აქტივისტები, ყოფილი წითელი პარტიზანები და სხვანი; თვალყური უნდა ედევნოს, რათა ორგანიზატორების შედგენილობაში არ მოხვდნენ კულაკები, საარჩევნო უფლება-ჩამორთმეული პირები, ხორც-თევზის ყოფილი წვრილი მოვაჭრეები, ჩარჩები და ვაჭრები და სხვ.

12) ქვედა აქტივის გარდა, სასოფლო საბჭოში და თვითეულ დასახლებულ ადგილას მოაწყონ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების ხელისშემწყობი კომისიები; ხელისშემწყობი კომისიები მუშაობენ სასოფლო საბჭოს უშუალო ხელმძღვანელობით;

13) რადგანაც სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციისა და კოლექტივიზაციის სფეროში მე-XVI პარტყრილობის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა აღსრულების ერთ-ერთი ძირითადი პირობა ის არის, რომ გლეხთა მზრომელ მასსებს შორის კულტურულ-საყოფაცხოვრებო მუშაობა სათანადოდ იქნეს დაყენებული და ჩატარებული, საქიროა ფართოდ იქნეს გაშლილი კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებათა ქსელი (სბავშო ბაგაები, სბავშო ბაღები, სბავშვო ბაქნები, წითელი კუთხეები, ქოხ-სამკითხველოები, რადიო-სადგურები და სხვა მისთ.), განსაკუთრებით საგაზაფხულო და საზაფხულო სამუშაოთა წარმოების დროს; ამ საქმისათვის გამოყენებულ უნდა იქნეს უმთავრესად თვით გლეხთა სახსარი;

14) საქირო კადრებით სასოფლო-სამეურნეო კოპერაციის ქვედა რგოლეულების გაძლიერებისათვის მომზადებულ იქნენ 1931 წლის განმავლობაში:

მოანგარიშე მომუშავენი დასახლებულობათა ამხანაგობებისათვის	500 კაცი;
ინსტრუქტორ-ორგანიზატორნი სარაიონო კოოპერატიული კავშირებისათვის	80 „

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინსტრუქტორ-ოპერატორნი (ნედლეულისა, ხილეულისა, ბოსტნეულისა, რძის პროდუქტებისა და სხვა მისთ. სფეროში) სარაიონო კოოპ. კავშირებისათვის	160 „
სპეციალისტნი რძის პროდუქტების გადამუშავებისათვის . .	30 „
გარდამზადებულ იქნენ:	
მოანგარიშე-მომუშავენი სარაიონო კოოპ. კავშირებისათვის .	80 „
თავმჯდომარენი სარაიონო კოოპერატიული კავშირებისათვის	100 „
„ დასახლებულობათა ამხანაგობებისათვის .	500 „
ინსტრუქტორ-ბუხჰალტერნი სარაიონო კოოპ. კავშირებისათვის	80 „
ნედლეულისა და ხილეულ-ბოსტნეულის მიმღებნი, დამხარი-. სხვებელნი და მფუთველნი	300 „
ქვედა აქტივი (სოფლის რწმუნებულნი, მომკრეფნი, მეკალათექალნი და სხვანი) არა ნაკლებ	5.000 „

15) აწარმოონ სისტემაში მყოფ ხელმძღვანელ-მომუშავეთა და სპეციალისტთა კადრების აღნუსხვა და განაწილება.

ბ. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ მომარაგების სახალხო კომისარიატს განახორციელოს, სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესაბამისად, ფაქტიური ხელმძღვანელობა ა/კსფსრ სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის სისტემაში კადრების მომზადებისა და გარდამზადებისთვის.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე ბ. ანანიანი.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი გ. სულთანოვი.

1931 წ. აგვისტოს 2/14
ტფილისი.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

184. საკრედიტო რეფორმის შესწორებათა განხორციელების შედეგის შესახებ.

მოისმინა-რა სსრკ-ის სახელმწიფო ბანკის ამიერკავკასიის სამხარეო კონტორის მმართველის ამხ. ლაქტიონოვის მოხსენება საკრედიტო რეფორმის შესწორებათა განხორციელების შედეგის შესახებ, ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი აღნიშნავს:

1. იმისდამიუხედავად, რომ სამეურნეო ორგანიზაციებს შორის ჩატარებულ იქნა დიდი საორგანიზაციო და ახსნა-განმარტებითი მუშაობა სსრკ-ის სახალხო

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომისართა საბჭოს 1931 წ. იანვრის 1-ისა და მარტის 20-ის დადგენილებებიდან გამომდინარე საკითხების გამო,—მაინც სახელმეკრულებო კომპანია მიმდინარეობდა არასათანადო ტემპით (ხელშეკრულებების დადებისა და წარდგენის ვადები დაცული არ იყო).

2. ამ კომპანიის არადამაკმაყოფილებლად ჩატარების უმთავრესი მიზეზი ის გარემოებაა, რომ სამეურნეო ორგანიზაციების როგორც ამიერკავკასიისა, ისე რესპუბლიკანური ცენტრები (ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი, ა/კსფსრ მრეწველობის სახალხო კომისარიატი, ა/კსფსრ-ისა და რესპუბლიკანური სახალხო მეურნეების უმაღლესი საბჭოები) სრულიად მოუმზადებელნი აღმოჩნდნენ სახელშეკრულებო კომპანიისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად. უწყებებისა და შენაერთების წარმომადგენელნი მხოლოდ აპრილის უკანასკნელ დეკადაში გაემგზავრნენ მოსკოვს გენერალურ შეთანხმებათა დასადებად.

3. დადებულ და სახელმწიფო ბანკში წარდგენილ ხელშეკრულებათა უდიდესი ნაწილი სრულიად უვარგისი აღმოჩნდა; ხელშეკრულებებში აღმიშნული არ იყო მტკიცედ განსაზღვრული გაყიდვა-მიწოდების ვადები და ანგარიშგასწორების ფორმები; ხელშეკრულებების თანხები ნაჩვენები იყო ორიენტირულად; ხელშეკრულებებით გათვალისწინებული არ იყო პუნქტები ხელშეკრულების დარღვევისათვის მხარეთა მატერიალური პასუხისმგებლობის შესახებ და სხვა მისთ.

4. ყველა ეს გარემოება იმის მაჩვენებელია, რომ ცალკეულ საწარმოთა და სამეურნეო ორგანიზაციათა წარმომადგენლებმა ვერ გაარკვიეს ხელშეკრულებების სამეურნეო-პოლიტიკური მნიშვნელობა და ხელშეკრულების დადებას უყურებდნენ როგორც ფორმალურად საჭირო პირობას სახელმწიფო ბანკიდან კრედიტის მიღებისთვის.

5. უწყებებისა და სამეურნეო ორგანიზაციების მიერ ხელშეკრულებების დაყოვნებით დადებასა და სახ. ბანკში წარდგენას შედეგად ის მოჰყვა, რომ, დაკრედიტების ახალი პირობების განხორციელების მომენტში, ბევრი ორგანიზაციის კრედიტი ფაქტიურად დაბურულ აღმოჩნდა; ამის გამო ზოგიერთი საწარმოს და სამეურნეო ორგანიზაციის ფინანსიური და სამეურნეო საქმიანობა თვალსაჩინოდ დაბრკოლდა.

6. სახელშეკრულობო კომპანიამ მე-III კვარტალში, რამდენადმე შეძენილი გამოცდილების მეოხებით, განვლო უფრო დამაკმაყოფილებლად, თუმცა ჯერ კიდევ არის ხელშეკრულების დაუდებლობისა და საჭირო პირობების შეუსრულებლობის შემთხვევები.

7. იმისდამიუხედავად, რომ საკმაოდ დიდი დრო გავიდა საკრედიტო რეფორმაში შესწორების შეტანის მომენტიდან, მაინც მთელმა რიგმა სამეურნეო ორგანიზაციებმა ვერ შეითვისეს დაკრედიტების ახალი პირობები, რითაც გაართულეს სახელმწიფო ბანკის მუშაობა, დაამბრკოლეს დოკუმენტთბრუნვა და გამოიწვიეს აქედან გამომდინარე არასასურველი შედეგები.

8. როგორც შედეგი სამეურნეო ორგანიზაციების მიერ დაკრედიტების ახალი სისტემის არა-საკმარისად შეთვისებისა—აღსანიშნავია:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა) მოსული ანგარიშ-ფაქტურების სისტემატიური უაქცეპტობა, რამაც მიიღწია სასხვაქალაქო ფაქტურების მთელი მასსის 80%-დე და რამაც იკლო მხოლოდ მტკიცე საკრედიტო ზედმოქმედების ღონისძიებათა შეფარდების შემდეგ, რასაც სახელმწიფო ბანკმა მიმართა;

ბ) სათანადალაქო საქონლის ბრუნვის ანგარიშ-ფაქტურების აქცეპტი მაშინ, როდესაც მეაქცეპტეს თავისუფალი კრედიტი არ გაჰნდდა;

გ) ხშირად ანგარიშ-ფაქტურებში საჭირო ცნობების აღუნიშვნელობა ტვირთის მიმღებისა და გადამზდელის შესახებ;

დ) სახელმწიფო ბანკის განყოფილებების მიერ ცნობების მიუცემლობა იმის თაობაზე, თუ რა ბედი ეწინა გადახდის უნარმოკლებული ორგანიზაციის ადრესით მიღებულ ტვირთს, აქედან წარმომდგარი საწყობების ტვირთპარმბობა, საქონლის ბრუნვის დაბრკოლება და სხვა მისთ.;

ე) გამყიდველ-მიმწოდებლების მოთხოვნა, რომ გასაცემი საქონლის თანხა წინასწარ მათ კონტოკორენტზე ყოფილიყო შეტანილი;

ვ) წვრილ-წვრილი ანგარიშების გასანაღდებლად არსებული წესების შეუსრულებლობა;

ზ) ხელშეკრულების დამრღვევ მხარეთა პასუხისგებაში მიუცემლობა.

9. საწარმოთა გადაყვანა სამეურნეო ანგარიშზე მიმდინარეობს არადამაკმაყოფილებლად. ამასთანავე:

ა) საწარმოთა და ორგანიზაციათა უმეტესობას არა აქვს ცალკეული შემადგენელი ნაწილების მთლად სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანის კონკრეტული გეგმები;

ბ) საწარმოთა და ორგანიზაციათა უმეტესობა მხოლოდ ახლა ეწევა სამზადისს სამეურნეო ანგარიშზე გადასვლისთვის; ამასთანავე, ამ საკითხის შემუშავებაში ჩაბმული არ არის მუშათა ფართო საზოგადოებრიობა;

გ) სამეურნეო ანგარიშზე უკვე გადაყვანილ საწარმოთა და ორგანიზაციათათვის, უმეტეს შემთხვევაში, გამოყოფილი არ არის საბრუნავი სახსარი.

10. სამეურნეო ორგანიზაციებში შენიშნული ყოველგვარი მოუგვარებლობა დაკრედიტებისა და დოკუმენტთბრუნვის ახალი მეთოდების შეგუების სფეროში, რაღა თქმა უნდა, აღიბეჭდა აგრეთვე დოკუმენტების მსვლელობაზედაც სახელმწიფო ბანკის ზოგიერთ ფილიალში.

11. ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი იღებს ცნობად სახელმწიფო ბანკის ამიერკავკასიის სამხარეო კონტორის მმართველის განცხადებას, რომ სამხარეო კონტორა ხმარობდა და ხმარობს ახლაც ყოველად ენერგიულ ღონისძიებებს ტეხნიკური დეფეკტების აღმოსაფხვრელად ბანკის კლიენტურისათვის როგორც თვით კონტორის მიერ, ისე მისი ქვემდებარე ფილიალების მიერ მომსახურეობის გაწევის საქმეში.

12. რაც შეეხება საკრედიტო რეფორმაში შესწორებათა შეტანის კარგ შედეგებს, ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი აღნიშნავს, რომ დაკრედიტების ახალმა სისტემამ გააადვილა საფინანსო რღვევათა გამოაშკარავება მთელ რიგ ორგანიზაციებში და ხელი შეუწყო ამ რღვევათა აღმოფხვრას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარმოებულმა „კონტროლმა მანეთით“ იძულებულჰყო ორგანიზაციები დაეჩქარებინათ საქონელბრუნვა, მოეხდინათ შინაგანი რესურსების მობილიზაცია და გაეძლიერებინათ თავიანთი საფინანსო და კომერციული აპარატები.

13. დაკრედიტების ავტომატიზმის მოსპობამ და „კონტროლმა მანეთით“, რასაც ბანკი ეწეოდა, პირველ ყოვლისა გავლენა მოახდინა საკრედიტო გეგმების შესრულებაზე.

მაშინ, როდესაც, საკრედიტო რეფორმის შესწორებათა განხორციელებამდე, კრედიტების გადამეტებით ხარჯვა სისტემატიურ მოვლენად იყო გადაქცეული სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგებში, ახლა, სამაგიეროდ, ორი თვის მუშაობამ ახალ პირობებში უკვე უზარუნველჰყო ამ გადამეტებათა ლიკვიდაცია და თვალსაჩინოდ მოაწესრიგა ბანკის კლიენტურის საფინანსო მეურნეობა, იძულებულჰყო-რა იგი მტკიცედ შეესრულებინა განსაზღვრული საკონტროლო ციფრები სახსართა დანიშნულებისამებრ ხარჯვის სფეროში.

14. ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი აღნიშნავს, რომ მე-III კვარტალის საკრედიტო გეგმების მსვლელობა და დამტკიცება სწარმოებდა მეტად არახელსაყრელ პირობებში, იმის გამო, რომ მთელმა რიგმა უწყებებმა არ შეასრულეს სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. იანვრის 14-ის დადგენილება საკრედიტო პლანირების შესახებ. ჯუმლობითი საკრედიტო გეგმა შედგენილ იქნა მხოლოდ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს ფაზით. ა/კსფსრ მომარაგების სახალხო კომისარიატმა თავის, დაგვიანებით შედგენილ, გეგმაში ვერ მოიცვა ყველა თავისი ქვემდებარე ორგანიზაცია, ხოლო სხვა უწყებებმა (მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატ., ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატმა) თავიანთი საკრედიტო გეგმები სრულიადაც არ შეადგინეს.

15. აგრეთვე ცალკეულად უნდა აღინიშნოს ის შემთხვევები, რომ ხელისუფლების სარაიონო ორგანოები წინააღმდეგობას უწევდნენ სახელმწიფო ბანკის განყოფილებების მიერ საკრედიტო პოლიტიკის განხორციელებას.

ზემოაღნიშნულ გარემოებათა მიხედვით ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. წინადადება მიეცეს ამიერკავკასიის სამეურნეო სახალხო კომისარიატებს (ა/კ. სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს, ა/კ. მომარაგების სახალხო კომისარიატს, ა/კ. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს), ყველა ცენტრალურ ორგანოს და აგრეთვე ამიერკავკასიისა და რესპუბლიკანურ სადარგო შენაერთებს:

ა) ფართოდ გაშალონ მუშაობა საწარმოთა და სამეურნეო ორგანიზაციათა სრულ სამეურნეო ანგარიშზე გადასვლისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად;

ბ) დაავალონ ყველა საწარმოს და სამეურნეო ორგანიზაციის სელმძღვანელთ—ჩაატარონ მუშათა და მოსამსახურეთა საერთო კრებებზე საანგარიშო მოხსენებები ამა თუ იმ საწარმოს სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანის საკითხის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. დაევალოს ყველა საწარმოს და სამეურნეო ორგანიზაციას—გამოჰყოს 2 დეკადის ვადაზე სპეციალური კომისია იმის შესამოწმებლად, თუ რამდენად შესრულებულია სამეურნეო ანგარიშზე გადასელის საქმე.

3. ეთხოვოს ამიერკავკასიის პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს—მისცეს დირექტივები ყველა პროფესიონალურ ორგანიზაციას—გააძლიეროს პრაქტიკული მუშაობა სამეურნეო ანგარიშიანობის ჩატარებისათვის.

4. წინადადება მიეცეს სახელმწიფო ბანკის ამიერკავკასიის სამხარეო კონტორას—უზრუნველჰყოს რესპუბლიკანური კონტორებისა და განყოფილებების გარკვეული მუშაობა დოკუმენტთბრუნვისა და მომსახურეობა-გასაწევ სამეურნეო ორგანების მინდობილობათა შესრულების საქმეში.

5. წინადადება მიეცეს სომხეთისა და აზერბაიჯანის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების პრეზიდიუმებს და ავრეთვე ხელისუფლების ყველა სარაიონო ორგანოს—მოისმინონ ერთი დეკადის განმავლობაში თავიანთ სხდომებზე სახელმწიფო ბანკის მოხსენებანი ამა თუ იმ რესპუბლიკაში ან რაიონში საკრედიტო რეფორმის შესწორებათა ჩატარების შედეგების შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **ა. ანანიანი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **გ. სულთანოვი.**

1931 წ. აგვისტოს 2/14.
ტფილისი.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

185. სახელმწიფო შენაერთებისა, ტრესტებისა და სხვა სამეურნეო ორგანიზაციების საბრუნავ სახსართა შესახებ.

„სახელმწიფო შენაერთებისა, ტრესტებისა და სხვა სამეურნეო ორგანიზაციების საბრუნავ სახსართა შესახებ“ გამოცემული შროშისა და თავდაცვის საბჭოს დადგენილების შესასრულებლად („სსრკ-ის ცენ. აღმ. კ-ტის იზვესტია“-ს 204 №-ი 1931 წ. ივლისის 26-სა) ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. წინადადება მიეცეს ყველა ფედერატიული და რესპუბლიკანური მნიშვნელობის სამეურნეო ორგანიზაციას წარუდგინოს ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას, არა უგვიანეს ა/წ. აგვისტოს 10-სა, 1931 წ. იანვრის 1-ის ბალანსები საბრუნავ სახსართა შესახები განცხადებით და 1931 წ. სამრეწველო-საფინანსო გეგმის თანდართვით.

2. მიეინიშნოს სამეურნეო ორგანიზაციებს, რომ საბრუნავ სახსართა დანიშნა დამოკიდებული როგორც ბალანსისა, ისე 1931 წ. საბრუნავ სახსართა შესახები განცხადების თავის დროზე წარდგენაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. მოეწყოს ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან კომისია შემდეგი შედგენილობით: ამხანაგნი ილიუშინი (თავმჯდომარე), კურსელი, ბირიუშევი, აღამიროვი, პაეერმანი და ლაქტიონოვი.

წინადადება მიეცეს ამ კომისიას განსაზღვროს და წარუდგინოს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს, არა უგვიანეს ა/წ. აგვისტოს 20-სა, იმ საკუთარ საბრუნავ სახსართა რაოდენობა, რაც უნდა მიეცეს როგორც ფედერატიული და რესპუბლიკანური, ისე ადგილობრივი მნიშვნელობის სახელმწიფო შენაერთებს, ტრესტებს და სხვა სამეურნეო ორგანიზაციებს.

4. დაეკალოს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს წარუდგინონ აგვისტოს 15-თვის ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას განცხადება ადგილობრივი მრეწველობის საკუთარ საბრუნავ სახსართა რაოდენობის შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ა. ზავერდოვი.**

1931 წ. აგვისტოს 1.
№ 389
ტფილისი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 210 №-ში 1931 წ. აგვისტოს 2-ს.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

186. 1931 წლის საშემოდგომო სასოფლო-სამეურნეო კამპანიის გეგმის შესახებ.

1931 წლის საშემოდგომო სასოფლო-სამეურნეო კამპანიამ უნდა უზრუნველყოს სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის პროცესის შემდგომი გაშლა, საბჭოთა მეურნეობების განმტკიცება და ზრდა, კოლექტიური მეურნეობების მშენებლობის გაშლა და საბამბე რაიონებში, არა უგვიანეს 1932 წლის გაზაფხულისა, მთლიანი კოლექტივიზაციის დამთავრება და მის საფუძველზე კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაცია.

საშემოდგომო სასოფლო სამეურნეო კამპანიის წინაშე მდგარი ამოცანების წარმატებით შესრულებისა და ყველა წინასწარი სამომზადებლო ღონისძიების თავის დროზე განხორციელების ძირითადი პირობებია: საშემოდგომო კამპანიის გეგმის ფართო დამუშავება, საგეგმო დავალებათა რაიონამდე, სოფლამდე, კო-

ლექტიერ მეურნეობამდე და სამანქანო-სატრაქტორო სადგურამდე მიწვდენა, კულაკურ-შეძლებულ მეურნეობებისათვის მტკიცე დავალებათა მიცემა და აგრეთვე საბჭოთა მეურნეობებსა და კოლექტიურ მეურნეობებში შრომის ორგანიზაცია ნაპრობითობის საფუძველზე, სოციალისტური შეჯიბრების და დამკვრელობის ფართო შეფარდებით.

ამისდაშესაბამისად ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. შემოდგომის მარცვლეული და შემოდგომის საკვები კულტურების დათესვის დავალებანი განისაზღვროს შემდეგი რაოდენობით:

ათას ჰექტარობით

რესპუბლიკები	საერთო ნათესი ფართობი	ამ რიცხვში			ამ რიცხვში სამანქანო-სატრაქტორო რაიონებში
		საბჭოთა მეურნეობა	კოლექტიური მეურნეობა	საინდუსტრიო სექტორი	
აზერბაიჯანის სსრ . .	820,0	55,0	402,0	363.0	240,0
სომხეთის სსრ	115,0	2,0	61,0	52,0	2,0
საქართველოს სსრ . .	315,0	7,0	163,0	145,0	25,0
ა/კსფსრ. . .	1.250,0	64,0	626,0	560,0	267,0

აღნიშნული საერთო ნათესი ფართობი დაყოფილ იქნეს კულტურებზე შემდეგნაირად:

რესპუბლიკები	ხორბალი და ჭვავი	ქერი და სხვა კულტურები	საკვები კულტურები	ს უ ლ
აზერბაიჯანის სსრ	539,0	256,0	25,0	820,0
სომხეთის სსრ	115,0	—	—	115,0
საქართველოს სსრ	275,0	25,0	15,0	315,0
ა/კსფსრ	929,0	281,0	40,0	1.250,0

2. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—დაავალონ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებს:

ა) გაითვალისწინონ ნათესი ფართობის მაქსიმალური გადიდება, პირველ ყოვლისა მთიან რაიონებში, არაშეგებული და ყამირი მიწების გამოყენებით;

ბ) იმ შეცდომის თავიდან ასაცილებლად, რაც ჩადენილ იქნა 1930 წელს, შემოდგომის ნათესისათვის მიწების მიჩენის დროს, როდესაც საჭირო გახდა დათესილი მინდვრების ტეხნიკური კულტურებისათვის გადახვნა, გამოჰყონ პირველ რიგში წყლით სრულიად უზრუნველყოფილი საუკეთესო მიწები ბამბისა და სხვა ტეხნიკური კულტურებისათვის, 1932 წლის საანეულო ნათესის გეგმის შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბამისად, და მხოლოდ ამის შემდეგ დარჩენილი მიწები მიუჩინონ საშემოდგომო კულტურების დასათესად;

გ) რაიონობითი გეგმების შედგენის დროს გაითვალისწინონ საკვები კულტურების ნათესის გაფართოება ნაკარაუდევ 40.000 ჰექტართან შედარებით;

დ) 1931 წ. საშემოდგომო სასოფლო-სამეურნეო კამპანიის სამუშაოების მექანიზაციის გაძლიერებასთან ერთად უზრუნველჰყონ საკოლმეურნეო და ინდივიდუალურ სექტორებში არსებული ცოცხალი საწევი ძალის მაქსიმალურად გამოყენება;

ე) კონკრეტულად დაიმუშაონ მუშა-ძალის ორგანიზაციის საკითხები, რათა თავიდან აცილებულ იქნეს ყოველგვარი დაბრკოლება შემოდგომის სასოფლო-სამეურნეო კამპანიის ჩატარების საქმეში.

3. წინადადება მიეცეს „სოიუზსემენეოდ"-ისა და „სოიუზხლებ"-ის ამიერკავკასიის კონტორებს—უზრუნველჰყონ სომხეთში შემოდგომის ხორბლის „უკრაინკა"-ს შეზიდვა 8.500 ცენტნერის რაოდენობით კოლექტიური მეურნეობებისა და ინდივიდუალური ღარიბ და საშუალო მეურნეობებისათვის დასარიგებლად სამომხმარებლო მარცვლეულზე გაცვლის წესით.

4. მარცვლეულის მწკრივი თესვა განხორციელებულ იქნეს 500.000 ჰექტარ ფართობზე (მთელი ფართობის 41%-ი), იმ პირობით, რომ საბჭოთა მეურნეობებში და ძირითად საბამბე რაიონებში მოცული იქნეს მთელი ფართობის 100%-ი.

რესპუბლიკებში მწკრივი ნათესის ფართობი მიღწევინებულ იქნეს შემდეგ რაოდენობამდე:

ათას ჰექტარობით

რესპუბლიკები	მარცვლ. ნათესი მთლად	აქედან მწკრივად		აქედან სამანქ.-სატრ. რაიონებში		საბჭოთა მეურნეობებში	
		სულ	%%-ლად მთელი ფართობის მიმართ	მარცვლეული ნათესი	აქედან მწკრივად	მარცვლეული ნათესი მთლად	აქედან მწკრივად
აზერბაიჯ.სსრ	795	320	41,0	216	160	47	47
სომხეთის სსრ	115	60	52,0	2	2	2	2
საქართვ. სსრ	300	120	40,0	20	14	5	5
ა/კსფსრ.	1.210	500	41,0	238	176	54	54

5. წინადადება მიეცეს ა/კ. ტრაქტორცენტრს და საბჭოთა მეურნეობების შენაერთებს, აგრეთვე მიენდოს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—დაავალონ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებს:

ა) უზრუნველჰყონ, რათა ათმწკრივიანი სათესი მანქანის ნაყოფიერება თესვის მთელი სეზონის განმავლობაში მიღწევინებულ იქნეს შემდეგ რაოდენობამდე:

ეროვნული ბიბლიოთეკა

1) ცხენით და ხარით წევის დროს საშუალოდ: აზერბაიჯანის სსრ-ში—100 ჰექტარამდე, სომხეთის სსრ-ში—60 ჰექტარამდე და საქართველოს სსრ-ში—100 ჰექტარამდე, ხოლო ტრაქტორით წევის დროს—150 ჰექტარამდე ყველა რესპუბლიკაში;

ბ) აღნუსხონ რაიონებში ყველა სამწკრივო სათესი მანქანა და შეადგინონ მათი გამოყენებისა და ერთი რაიონიდან სხვა რაიონში გარდაგზავნის გეგმა;

გ) დაამთავრონ არა უგვიანეს აგვისტოს 20-სა მთლად სათესი ინვენტარის განმზადება და რემონტი;

დ) მოხვნა და დათესვა დამთავრებულ იქნეს: აზერბაიჯანის სსრ-ის მთის ძირის რაიონებში—არა უგვიანეს ა/წ. ნოემბრის 1-სა, ბარში—არა უგვიანეს ნოემბრის 15-სა; სომხეთის სსრ-ის მთის ძირის რაიონებში—არა უგვიანეს ოქტომბრის 20-სა, მთიან ადგილებში—სექტემბრის 25-სა, ბარში—ნოემბრის 10-სა; საქართველოს სსრ-ის მთის ძირის ადგილებში—არა უგვიანეს ნოემბრის 1-სა, ბარში—ნოემბრის 15-სა.

დაიკალოს სასოფლო-სამეურნეო იარაღით და მანქანებით მომმარაგებელ ამიერკავკასიის საკავშირო საზოგადოებას იხვნოს ღონისძიებანი და შეზიდოს ადგილებზე, არა უგვიანეს ნოემბრის 1-სა, შემდეგი რაოდენობის სამწკრივო სათესი მანქანები: ა) სატრაქტორო—200 ა/კ. ტრაქტორ-ცენტრისათვის და ცხენიანი—400 აზერბაიჯანის სსრ-თვის.

6. დავალება ზამთრისპირული ხვნის სფეროში განისაზღვროს შემდეგი ციფრებით:

ათას ჰექტარობით.

რესპუბლიკები	ს/ნ	აქედან			აქედან სამან.-სატრ. სადგ. რაიონებში			საბჭოთა მეურნეობებში	
		ბაშბისათვის	სხვა ტექნ. კულტურებისათვის	მარცვლისა, ბალბისა და ბოსტნისათვის	ს/ნ	ბაშბისათვის	სხვა ტექნ. კულტურებისათვის	ს/ნ	აქედან ბაშბისათვის
აზერბაიჯანის სსრ.	315	258	32	25	230	210	20	55	48
სომხეთის სსრ . .	160	33	14	113	30	30	—	13	3
საქართველოს სსრ.	175	40	30	105	37	30	7	18	10
ა/კსფსრ .	650	331	76	243	297	270	27	86	61

7. წინადადება მიეცეს ა/კ. ტრაქტორცენტრს და საბჭოთა მეურნეობების შენაერთებს, აგრეთვე მიენდოს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—დაავალონ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებს დაამთავრონ ზამთრისპირული ხვნა შემდეგ ვადებზე:

აზერბაიჯანის სსრ-ში—1932 წ. იანვრის 10-დე;

სომხეთის სსრ-ში—1931 წ. დეკემბრის 15-დე;

საქართველოს სსრ-ში—1932 წ. იანვრის 1-დე;

ზამთრისპირული ხვნა ზამთრის არათისათვის დანიშნულ მიწებზე დამთავრებულ იქნეს ყველგან 15 დღით ადრე ზემოაღნიშნულ ვადებამდე.

8. წინადადება მიეცეს ა/კ. ტრაქტორცენტრს, ამიერკავკასიის მებამბეობის კომიტეტს და სხვა საბჭოთა მეურნეობების შენაერთებს:

ა) გაზუსტებულ სარაიონო გეგმებში აღნიშნონ ის ფართობი, რაც მოხნულ უნდა იქნეს სატრაქტორო პარკის მიერ, რისთვისაც ანგარიშში უნდა მიიღონ, რომ ტრაქტორმა დღე და ღამეში უნდა იმუშაოს 21 საათს;

ბ) უზრუნველჰყონ ტრაქტორები გამნათებელი ხელსაწყოთი ღამის სამუშაოების დაუცადებლად შესრულებისათვის.

9. სამანქანო-სატრაქტორო სადგურების დაუცადებელი მუშაობის უზრუნველსაყოფად—წინადადება მიეცეს ა/კ.სფსრ სახალხო კომისართა საბჭოებს დაავალონ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებს—განსაზღვრონ ის მიწები, რომლებზედაც უნდა დაითესოს საშემოდგომო და საანეულო კულტურები სამანქანო-სატრაქტორო რაიონებში, უპირველესად ყოვლისა ბამბისათვის და სხვა ტეხნიკური კულტურებისათვის 1932 წლის საანეულო ნათესების გეგმის შესაბამისად: აზერბაიჯანის სსრ-ში—არა უგვიანეს ა/წ. სექტემბრის 1-სა, სომხეთის სსრ-ში—აგვისტოს 15-სა და საქართველოს სსრ-ში—სექტემბრის 1-სა.

10. რადგანაც ზამთრისპირულ ხვნას უაღრესი მნიშვნელობა აქვს ბოგარული ბამბის რაიონებისათვის, წინადადება მიეცეს ა/კ. ტრაქტორცენტრს—იხმაროს გადამწყვეტი ღონისძიება სამანქანო-სატრაქტორო სადგურების მოსაწყობად არა უგვიანეს ა/წ. ოქტომბრის 15-სა ბოგარული ბამბის შემდეგ რაიონებში: აზერბაიჯანის სსრ-ში—კუტკაშენისა, ვართაშენისა, ჯაფარაბადისა, ვეინიუქისა, დიზიჩისა და მასსალის რაიონებში და საქართველოს სსრ-ში—წნორის-წყალის რაიონში.

უზრუნველჰყოს ეს სამანქანო-სატრაქტორო სადგური ტრაქტორებით პირველი მიღებული პარტიიდან.

11. წინადადება მიეცეს ამიერკავკასიის მებამბეობის კომიტეტს და მიენდოს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—დაავალონ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებს—ჩაატარონ ზამთრისპირული ხვნა ყველა ბოგარული და ნახევრად-ბოგარული ბამბისათვის დანიშნულ ფართობებზე.

12. ზამთრის არათი ბამბის ნათესებისათვის ჩატარებულ იქნეს 185.000 ჰექტარ ფართობზე; აქედან: აზერბაიჯანის სსრ-ში—150.000 ჰექტარზე, სომხეთის სსრ-ში—15.000 ჰექტარზე და საქართველოს სსრ-ში—20.000 ჰექტარზე; ამის გარდა—საბამბე საბჭოთა მეურნეობებში—30.000 ჰექტარზე.

წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში მომავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—დაავალონ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებს და წყალთა მეურნეობის სამმართველოებს:

ა) დაამთავრონ ზამთრის არათი: აზერბაიჯანის სსრ-ში—არა უგვიანეს 1932 წ. იანვრის 10-სა, სომხეთის სსრ-ში—1931 წ. დეკემბრის 10-სა და საქართველოს სსრ-ში—1932 წ. იანვრის 1-სა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) განსაზღვრონ არა უგვიანეს სექტემბრის 1-სა ის მიწის ფართობები, რომლებზედაც ჩატარებულ უნდა იქნეს ზამთრის არათი;

გ) უზრუნველჰყონ ნახევრად-ზოგარული ბამბის დასათესად დანიშნულ ფართობებზე ზამთრის არათის ჩატარება—100%-ით.

ამიერკავკასიის მებამბეობის კომიტეტმა დეკადის ვადაზე უნდა დაიმუშაოს და წარადგინოს ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატში არათის ჩატარების გეგმა თვითეული საბამბე საბჭოთა მეურნეობისათვის.

13. ჩატარებულ იქნეს 100%-ით სათესლე მასალის გაწმენდა, ე. ი. განმზადებულ იქნეს დასათესად შემდეგი რაოდენობის გაწმენდილი მარცვლეული:

აზერბაიჯანის სსრ-ში	1.050.000 ცენტნერი;
სომხეთის სსრ-ში	153.000 „
საქართველოს სსრ-ში	397.000 „
სულ ა/კსფსრ-ში	1.600.000 ცენტნერი;

წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—დაავალონ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებს:

ა) ერთი ტრიერის დატვირთვა მიაღწევინონ არა ნაკლებ, ვიდრე გაწმენდილი მარცვლეულის 530 ცენტნერამდე წმენდის სეზონში;

ბ) გაწმენდა დაიწყონ არა უგვიანეს ა/წ. აგვისტოს 1-სა და დაამთავრონ მთიან რაიონებში არა უგვიანეს ოქტომბრის 15-სა, ხოლო ბარში ოქტომბრის 25-სა;

გ) დაწამლონ არა ნაკლებ მთელი მარცვლეულის 70%-ისა, ე. ი. 1.100.000 ცენტნერი; აქედან აზერბაიჯანის სსრ ში—800.000 ცენტნ., სომხეთის სსრ-ში—110.000 ცენტნ. და საქართველოს სსრ-ში—190.000 ცენტნერი;

დ) ა/წ. აგვისტოს 10-თვის გამოარკვიონ ყველა ის რაიონი, სადაც გავრცელებულია მამხიზელა, და ამ რაიონებში მთლად დაწამლონ სათესლე მასალა;

ე) შეიტანონ გეგმაში მთლად შემოზიდული სათესლე მასალის დაწამლვა.

წინადადება მიეცეს სოფლის მეურნეობის მაუნგებლებთან ბრძოლის სააქციო საზოგადოების ამიერკავკასიის განყოფილებას—დაიწყოს მუშაობა თესლის დაწამლვისათვის არა უგვიანეს აგვისტოს 10-სა და დაამთაროს დათესვისათვის დადგენილ ვადებზე.

წინადადება მიეცეს ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს, ა/კ-საკოლმეურნეო ცენტრს და სოფლის მეურნეობის მავნებლებთან ბრძოლის სააქციო საზოგადოების ამიერკავკასიის განყოფილებას დაიმუშაონ ა/წ. აგვისტოს 10-თვის თესლის დაწამლვის ხარჯებში მთესველთა მონაწილეობის საკითხი და წარუდგინონ იგი დასამტკიცებლად ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს.

14. უზრუნველყოფილ იქნეს განსაზოგადოებული სათესლე ფონდების მოგროვება კოლექტიურ მეურნეობებში საშემოდგომო თესვისათვის საჭირო სათესლე მასალის 100%-ის რაოდენობით, ე. ი. 716.000 ცენტნერისა; აქედან: აზერბაიჯანის სსრ-ში—462.000 ცენტნ., სომხეთის სსრ-ში—74.000 ცენტნ. და საქართველოს სსრ-ში—180.000 ცენტნ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოგროვება დაწყებულ იქნეს არა უგვიანეს ა/წ. აგვისტოს 10-სა, ე. ი. პურეულის ლეწვასთან შეფარდებით, და დამთავრდეს: აზერბაიჯანის სსრ-ის დაბლობ რაიონებში—არა უგვიანეს ა/წ. სექტემბრის 10-სა, მთიან რაიონებში—არა უგვიანეს სექტემბრის—1-სა; სომხეთის სსრ-ში—არა უგვიანეს სექტემბრის 1-სა და საქართველოს სსრ-ში—არა უგვიანეს სექტემბრის 10-სა.

15. სადამზღვევო ფონდების მოცულობა განისაზღვროს 1931 წლის საშემოდგომო თესვისათვის საჭირო მთელი სათესლე მასალის 15%-ის რაოდენობით, ე. ი. 241.000 ცენტნერით და ეს ფონდი რესპუბლიკებზე განაწილდეს შემდეგნაირად:

აზერბაიჯანის სსრ-ზე	158.000	ცენტნ.
სომხეთის სსრ-ზე.	23.000	„
საქართველოს სსრ-ზე	60.000	„
სულ ა/კსფსრ-ში	241.000	ცენტნ.

წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—დაავალონ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებს გაითვალისწინონ რაიონობითს გეგმებში:

ა) სათესლე ფონდების მოგროვების დიფერენცირებული ნორმები კოლექტიური მეურნეობებისა და ღარიბთა და საშუალო მეურნეობებისათვის და მისცენ კულაკურ და შეძლებულ მეურნეობებს მტკიცე განაკვეთები;

ბ) 1931 წელს სადამზღვევო ფონდებიდან გაცემულ სესხთა მთლად დაბრუნება;

გ) მოგროვების დაწყება აზერბაიჯანის სსრ-ში—არა უგვიანეს ა/წ. აგვისტოს 10-სა და დამთავრება არა უგვიანეს ოქტომბრის 1-სა; სომხეთის სსრ-ში—დაწყება არა უგვიანეს აგვისტოს 25-სა და დამთავრება არა უგვიანეს ოქტომბრის 1-სა; საქართველოს სსრ-ში—დამთავრება არა უგვიანეს ოქტომბრის 1-სა.

დ) მოსაგროვებელი სადამზღვევო ფონდების უზრუნველყოფა მარცვალსაცავებით; სადამზღვევო სათესლე ფონდების შენახვისა და გამოყენების წესის დამყარება და ამ საკითხის გარშემო სათანადო აღსნა-განმარტებითი კამპანიის გაშლა.

16. მიენდოს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—დაავალონ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებს—საშემოდგომო კულტურების ჯიშიანი თესლის მთელი ფონდი გამოიყენონ პირველ რიგში სპეციალურ მეთესლეობის კოლექტიურ მეურნეობათა მოწყობით და დაანწესონ მათთვის საპირველრიგო დახმარება სამანქანო-სატრაქტორო სადგურებისა და აგრონომიული პერსონალის მხრით.

17. რადგანაც საშემოდგომო საკვები კულტურების დათესვის საკითხს უდიდესი მნიშვნელობა აქვს—დაევალოს „სემენოვოდსოიუზ“-ის ამიერკავკასიის განყოფილებას:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა) უზრუნველჰყოს, საკვები კულტურების დათესვის გეგმის შესაბამისად, თესვა სათესლე მასალით როგორც ამ მასალის თავის დროზე დამზადებით, ისე სსრკ-ის სხვა რესპუბლიკებიდან შემოზიდვით;

ბ) მიზიდოს ადგილებზე საკვები კულტურების დასათესად საჭირო თესლი მთლად—არა უგვიანეს ა/წ. სექტემბრის 10-სა.

ა/კსფსრ მიწადმოქმედებისა და მომარაგების სახალხო კომისარიატებმა ერთი დეკადის ვადაზე უნდა შეიმუშაონ და წარუდგინონ დასამტკიცებლად ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს საკვები კულტურების თესლის დამზადების გეგმა.

18. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატსა და ა/კ. ტრაქტორცენტრს გაითვალისწინონ 1932 წ. საკონტროლო ციფრებში:

ა) მოსავლის აღების სრული მექანიზაცია ტეხნიკური კულტურების რაიონებში, განსაკუთრებით სამამბე რაიონებში;

ბ) სხვა რაიონებში—არა ნაკლებ ყველა ფართობის 50%-ისა;

გ) საჭირო რაოდენობის მოსავლის ამღები მანქანებისა და სალეწი მანქანების შემოზიდვა.

19. წინადადება მიეცეს აზერბაიჯანის სსრ-ისა და საქართველოს სსრ-ის სახალხო კომისართა საბჭოებს—დაავალონ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებს, საშემოდგომო სასოფლო-სამეურნეო კამპანიის გაზუსტებული რაიონობითი გეგმების შედგენის დროს, მარცვლეული და საკვები კულტურებისათვის საჭირო ზემოაღნიშნული ნათესი ფართობების გარდა, გაითვალისწინონ აგრეთვე ზამთრის მებოსტნეობის მაქსიმალური განვითარება.

20. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—მიანდონ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებს და საკოლმეურნეო ცენტრებს:

ა) დაიმუშაონ ამა დადგენილების საფუძველზე ყველა მაჩვენებელის მიხედვით რაიონობითი გეგმები, სექტორებზე დაყოფით და თვითეული რაიონისათვის მუშაობის დაწყებისა და დამთავრების საკალენდრო ვადების აღნიშვნით;

ბ) ა/წ. აგვისტოს 10-ვის წარუდგინონ ეს რაიონობითი გეგმები ა/კსფსრ მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატ და იმავე დროს წარმართონ ეს გეგმები რაიონებში—სოფლამდე, კოლექტიურ მეურნეობამდე და კომლამდე მისაწვდევინებლად და კულაკური და შეძლებული მეურნეობებისათვის მტკიცე განაკვეთების მისაცემად.

21. წინადადება მიეცეს ა/კ. ტრაქტორცენტრს და საბჭოთა მეურნეობების ყველა შენაერთს:

ა) შეიმუშაონ თვითეული სამანქანო-სატრაქტორო სადგურისა და თვითეული საბჭოთა მეურნეობისათვის გეგმები და შეუთანხმონ ეს გეგმები და სამუშაოთა აღსრულების საკალენდრო ვადები ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებსა და სარაიონო საადგილმამულო განყოფილებებს;

ბ) მიაქციონ ეს გეგმები ფართო განხილვისათვის სამანქანო-სატრაქტორო სადგურებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო თათბირებზე.

22. წინადადება მიეცეს ა/კ. საკოლმეურნეო ცენტრს— დაავალოს რესპუბლიკების საკოლმეურნეო ცენტრებს—მიიღონ აქტიური მონაწილეობა გეგმების დამუშავებაში რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებსა და სარაიონო საადგილმამულო განყოფილებებში.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ა. შავერდოვი.**

1931 აგვისტოს 1.

№ 392.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 214 №-ში 1931 წ. აგვისტოს 6-ს.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

187. ზურგის ლაშქროსანთა შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

I. საყალდებულო სამხედრო სამსახურის კანონის მე-XV და XVI კართა (276 და 284 მუხლ.) თანახმად (სსრკ-ის კან. კრ. 1930 წ. მე-40 №-ი, მუხ. 424) გაწვეულ იქნენ მასსურ საერთო-სასარგებლო სამუშაოებზე გამოსაყენებლად 1903—1908 წლებს დაბადებული მოქალაქენი, რომელნიც განთავისუფლებულ არიან სამხედრო სამსახურისაგან რელიგიური რწმენის გამო და მოქალაქენი, რომელნიც ჩარიცხულ არიან ზურგის ლაშქარში.

II. რელიგიური რწმენის გამო სამხედრო სამსახურისაგან განთავისუფლებული მოქალაქენი გაწვეულ იქნენ ორი წლით, ხოლო ზურგის ლაშქარში ჩარიცხული მოქალაქენი—ვადით არა უმეტეს სამი წლისა.

შენიშვნა. ამა დადგენილების თანახმად საზოგადოებრივ-მასსურ სამუშაოებზე გასაწვევ მოქალაქეთ, რომელნიც ჩარიცხულ არიან ზურგის ლაშქარში და რომელთაც გადახდილი აქვთ წარსული წლების სპეციალური გადასახადი, შეუმცირდებათ სათანადოდ სამუშაოებზე გაწვევის ვადა.

III. მასსურ საერთო-სასარგებლო სამუშაოებზე გაწვეული მოქალაქენი მოწყობილ იქნებიან კომანდებად „მომსახურეობის კომანდები"-ს სახელწოდებით; ამასთანავე, რელიგიური რწმენის გამო სამხედრო სამსახურისაგან განთავისუფლებული მოქალაქენი განწესდებიან განსაკუთრებულ მომსახურეობის კომანდებში, ზურგის ლაშქროსანთაგან განცალკევებით.

IV. მომსახურეობის კომანდები უნდა შეიქმნას 150—200 კაცისაგან.

V. ზემოაღნიშნულის შესაბამისად დაეკისროს:

1) რევოლიუციონურ სამხედრო საბჭოს და მის ორგანოებს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკებში—მიაწოდონ ცნობები (საერთო და მორიგ გაწვევაია ჩატარების შემდეგ), ასაკის მიხედვით, რელიგური რწმენის გამო განთავისუფლებულთა და ცალკე ზურგის ლაშქარში ჩარიცხულთა რაოდენობის შესახებ შემდეგ ორგანოებს: მილიციისა და სისხლის საქმეთა სამმეძბროს სამმართველოს, ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატს და ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სათანადო სახალხო კომისარიატებს.

2) ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მილიციისა და სისხლის საქმეთა სამეძბროს სამმართველოებს:

ა) გაიწვიონ რელიგიური რწმენის გამო სამხედრო სამსახურისაგან განთავისუფლებული მოქალაქენი და აგრეთვე ზურგის ლაშქარში ჩარიცხული მოქალაქენი მომსახურეობის კომანდებში;

ბ) იხმარონ ღონისძიებანი, რათა არ მოხდეს შემთხვევა ამ მოქალაქეების მიერ თავის არიდებისა მომსახურეობის კომანდებში გამოცხადებისაგან;

გ) აწარმოონ ბრძოლა მომსახურეობის კომანდებიდან მოქალაქეების დეზერტირობის წინააღმდეგ;

დ) დანიშნონ, გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოების ორგანოებთან და ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებთან შეთანხმებით, კომანდების უფროსები;

ე) განსაზღვრონ მომსახურეობის კომანდებში გაწვეულთა რიცხვი და შინაგანრიგება, შრომის სახალხო კომისარიატთან და გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს ორგანოებთან შეთანხმებით; ამასთანავე, იმ მომსახურეობის კომანდებში, სადაც ჩარიცხულ იქნებიან რელიგური რწმენის გამო სამხედრო სამსახურისაგან განთავისუფლებული მოქალაქენი, შინაგანრიგება დამყარდება მუშათა და გლეხთა წითელი არმიის სამხედრო ნაწილების ანალოგიურად.

3) ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატს და მის ორგანოებს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკებში:

ა) წარგზავნონ ზურგის ლაშქრისანთა კომანდები მასსურ საერთო-სასარგებლო სამუშაოებზე სამეურნეო ორგანოების განცხადებების (ხელშეკრულებების) მიხედვით;

ბ) დანიშონ და განსაზღვრონ რელიგიური რწმენის გამო სამხედრო სამსახურისაგან განთავისუფლებულთა და ზურგის ლაშქრისანთა შრომის სასყიდელი; დაადგინონ მათი კვებისა და სამუშაო ტანისამოსით მომარაგების ნორმები და შრომის დაცვის წესი;

გ) მიაწოდონ ფინანსთა სახალხო კომისარიატის ორგანოებს ცნობები მომსახურეობის კომანდებში გაწვეულ ზურგის ლაშქრისანთა შესახებ, რათა მათ მოეხსნათ სპეციალური გადასახადი ამ კომანდებში ყოფნის დროს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4) ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატებს—თვალყური ადევნონ სამედიცინო და სასანიტარო მომსახურეობის გაწევას მომსახურეობის კომანდებისათვის; ეს მომსახურეობა კომანდებს უნდა გაეწიოს იმ ანარიცხების ხარჯზე, რასაც მომსახურეობის კომანდების შრომის გამომყენებელი სამეურნეო ორგანიზაციები შეიტანენ სოციალური დაზღვევის ფონდში;

მომსახურეობის კომანდებში გაწვეულთა საერთო სამედიცინო შემოწმება არ მოხდება, რადგანაც ეს შემოწმება მათ უკვე გავლილი აქვთ მორიგ გაწვევების დროს; სამედიცინო შემოწმება მომსახურეობის კომანდაში ჩარიცხვის დროს უნდა მოხდეს მხოლოდ იმ პირისა, ვინც განაცხადებს, რომ ავადმყოფია.

5) სამეურნეო ორგანოებს და სამედრო უწყების ორგანოებს, რომელნიც გამოიყენებენ მომსახურეობის კომანდებს მუშა-ძალის სახით—გამოარკვიონ საქიროება და დასდონ შრომის სახალხო კომისარიატის ორგანოებთან ხელშეკრულებები მომსახურეობის კომანდების გაშოყენების თაობაზე; უზრუნველჰყონ გამოსაყანებელი მომსახურეობის კომანდები ბინებით, კვებით და ტანისამოსით; გაიღონ შრომის სასყიდელი ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატის მიერ დადგენილი გადახდის წესის თანახმად; აწარმოონ მომსახურეობის კომანდებში კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა.

6) ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს—განთავისუფლოს მომსახურეობის კომანდებში ჩარიცხული ზურგის ლაშქროსანნი სპეციალური სამხედრო გადასახადისაგან.

VI. დაევალოს ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატს, მილიციისა და სისხლის საქმეთა სამმბროს ინსპექციის უფროსს და ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს გამოსცენ ამავ დადგენილების საფუძველზე, ერთი დეკადის ვადაზე, გაერთიანებული ინსტრუქცია.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ა. შავერდოვი,**

1931 წ. აგვისტოს 11
№ 395.
ტფილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ა/კსსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული აღსრულების შემმოწმებელი კომისიისა.

188. „ბოსტნეულის საცავთა მშენებლობის თაობაზე“ გამოცემული სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1931 წლის მაისის 8-ის დადგენილების აღსრულების მსვლელობის შესახებ.

მოისმინა-რა სამომხმარებლო კოოპერაციის ამიერკავკასიის კავშირისა და ბაქოს სამომხმარებლო საზოგადოებათა კავშირის მოხსენება და „ზაპაშჩერომსტროი“-სა, ა/კსსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს და ა/კსსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის წარმომადგენლების თანამოხსენებანი „ბოსტნეულის საცავთა მშენებლობის შესახებ“ გამოცემული სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილების აღსრულების მსვლელობის შესახებ, ა/კსსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული აღსრულების შემმოწმებელი კომისია ადგენს:

1. ცნობილ იქნეს დამტკიცებულად, რომ სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის დირექტივა—ბოსტნეულის საცავთა მშენებლობის არა უგვიანეს, ვიდრე 1931 წ. სექტემბრის 1-ის დამთავრების შესახებ—შესრულებული არ არის ა/კსსრ-ში იმის გამო, რომ ა/კსსრ სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემა სრულიად შეუწყნარებლად მოეკიდა ბოსტნეულის საცავთა მშენებლობის საქმეს,

2. მიენიშნოს სამომხმარებლო კოოპერაციის ამიერკავკასიის კავშირის გამგეობას, რომ მისი გადაწყვეტილება კაპიტალისტური მშენებლობის სექტორის გაუქმების შესახებ ბოსტნეულის საცავთა მშენებლობის გაშლის პერიოდში შეცდომაა, რამაც გამოიწვია სამომხმარებლო კოოპერაციის კავშირის აპარატის უპასუხისმგებლო მოპყრობა სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის დირექტივისადმი—ბოსტნეულის საცავთა სექტემბრის 1-თვის განმხადების შესახებ.

რათა ა/კსსრ მუშათა ცენტრები 1931 წელს ჯზრუნველყოფილ იქნენ ბოსტნეულის საცავებით, ა/კსსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული აღსრულების შემმოწმებელი კომისია ადგენს:

1. მიღებულ იქნეს ცნობად სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის და აზერბაიჯანის სსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის გადაწყვეტილება ქ. ბაქოში ბოსტნეულის საცავთა მშენებლობის დამთავრების შესახებ 1931 წ. ნოემბრის 1-თვის და საქართველოს სსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის გადაწყვეტილება ტფილისში ბოსტნეულის საცავთა მე-2 სექციის დამთავრების შესახებ 1931 წ. ოქტომბრის 15-თვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. წინადადება მიეცეს სამომხმარებლო კოოპერაციის ამიერკავკასიის კავშირს განსაზღვროს 5 დღის ვადაზე ქალ. ტფილისსა, განჯასა და ლენინაკანში, აგრეთვე ალავერდსა, ტყვარჩელსა და ტყიბულში და ანდეზიტზე ბოსტნეულის საცავთა მშენებლობის დამთავრების უკანასკნელი ვადა, რისთვისაც მხედველობაში უნდა მიიღოს, რომ აუცილებელია ბოსტნეულის ყველა საცავის მშენებლობა დამთავრებულ იქნეს არა უგვიანეს ნოემბრის 1-სა.

3. დამტკიცებულ იქნეს ბოსტნეულის საცავთა მშენებლობის დახარჯილი მასალით უზრუნველყოფის შემდეგი წესი:

ა) 7.000 კუბ. მეტრი დახარჯილი მასალიდან, რაც მოთხოვნილია განცხადებებით, 2.000 კუბ. მეტრი გადატანილ იქნეს მე-4 კვარტალის ფონდში;

ბ) 1.000 კუბ. მეტრი გამოყოფილ იქნეს მე-3 კვარტალში სამომხმარებლო კოოპერაციის ამიერკავკასიის კავშირის მშენებლობის ჯგუფებისათვის გადადებული ფონდებიდან;

გ) ანდეზიტზე ბოსტნეულის საცავთა მშენებლობისათვის დახარჯილი მასალა გამოყოფილ იქნეს ანდეზიტის საერთო ფონდებიდან;

დ) მიღებულ იქნეს ცნობად „ზაკსნაბსბიტ-“ის წარმომადგენლის ამბ. მელიას განცხადება, რომ იგი უზრუნველჰყოფს მშენებლობას ტყვარჩელსა და ტყიბულში დახარჯილი მასალით სამომხმარებლო კოოპერაციის ამიერკავკასიის კავშირისათვის დაკვეთილი ფონდის გარეშე;

ე) ტჩვარჩელისა, ტყიბულისა და ანდეზიტის ბოსტნეულის საცავთათვის განწესებული დახარჯილი მასალა გადაიცეს ბაქოში საწარმოებელი მშენებლობისათვის.

4. წინადადება მიეცეს „სტროიმატერიალ“-ის ამიერკავკასიის განყოფილებას—უზრუნველჰყოს განცხადება ცემენტის შესახებ ბოსტნეულის საცავთა მშენებლობისათვის, ფაქტიური საჭიროების რაოდენობით, და დაუყოვნებლივ გადასცეს ბაქოს სამომხმარებლო საზოგადოებათა კავშირს 1·500 ბოჭკა ცემენტი.

5. მიღებულ იქნეს ცნობად სამომხმარებლო კოოპერაციის ამიერკავკასიის კავშირის თავმჯდომარის ამბ. ბუკრეევის და ბაქოს სამომხმარებლო საზოგადოებათა კავშირის თავმჯდომარის ამხ. ობიდენკოს განცხადება, რომ მე-3 კვარტალში ბოსტნეულის საცავთა მშენებლობა უზრუნველყოფილია ხარისხოვანი რკინით.

6. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს—გამოჰყოს მე-3 კვარტალში სავენტილიაციო მილების გასაყვანად საჭირო 6 ტონა სახურავი რკინა.

7. წინადადება მიეცეს ა/კ. ბაღ-ბოსტანკავშირს—დაუყოვნებლივ გადასცეს სამომხმარებლო კოოპერაციის ამიერკავკასიის კავშირის მთლად სისტემის ხელთ ქონებული საშენი ლურსმანი.

8. პერსონალური პასუხისმგებლობა ა/კსფსრ-ში ბოსტნეულის საცავთა მშენებლობის არა უგვიანეს, ვიდრე 1931 წ. ნოემბრის 6-ს დამთავრებისათვის დაეკი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სროს ამხ. ბუკრეევს, რომელსაც დაევალოს უზრუნველჰყოს პირველ რიგში საშენი მასალით ბაქოს ბოსტნეულის საცავთა მშენებლობა.

აღსრულების შემმოწმებელი კომისიის
თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

აღსრულების შემმოწმებელი კომისიის
მდივანი **თ. მელნიკოვი.**

1931 წ. აგვისტოს 9
№ 22.
ტფილისი

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 220 №-ში 1931 წ. აგვისტოს 12-ს.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული აღსრულების შემმოწმებელი კომისიისა.

189. „შავი და ფერადი ნატეხი ლითონის შეგროვების თაობაზე" გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. მარტის 4-ის დადგენილების აღსრულების მსვლელობის შესახებ

1. მოისმინა-რა შავი და ფერადი ნატეხი ლითონის აღმშუსხველი და მრეალიზებელი კომისიის წარმომადგენლის ამხ. მარკამანისა, „მეტალლომ"-ის წარმომადგენლის ამხ. კირშბაუმის და აბოვიანისა და „რემმაშტრესტ-"ის წარმომადგენლის ამხ. ფარალოვის მოხსენება და ა/კსფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის წარმომადგენლის ამხ. დავიდოფსკის თანამოხსენება „შავი და ფერადი ნატეხი ლითონის შეგროვების თაობაზე" გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. მარტის 4-ის დადგენილების 1931 წლის პირველ ნახევარწლის განმავლობაში აღსრულების მსვლელობის შესახებ,—ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული შემმოწმებელი კომისია აღნიშნავს, რომ მრეწველობის საჭიროებისათვის ნატეხი ლითონის დამატებითი რესსურსების მობილიზაციის საქმეში სათანადო ყურადღების გამოუჩენლობის გამო იმ ორგანიზაციების მიერ, რომელნიც მოვალენი იყვნენ უზრუნველყოთ დირექტივის წარმატებით შესრულება,—ზემოაღნიშნული დადგენილება პირველი ნახევარწლის განმავლობაში შესრულებული არ არის (1-ლი ნახევარწლის დავალება შავი ლითონის შეგროვების შესახებ შესრულებულია 75%-ით, ხოლო ფერადი ლითონის შეგროვების შესახებ—93%-ით).

2. ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული აღსრულების შემმოწმებელი კომისია აღნიშნავს „ზაკმინერალრუდ"-ისა, „ზაკხლობუმტრესტ"-ისა „ზაკშერსტ"-ისა და ა/კსფსრ რკინის გზების ორგანიზაციების უმოქმედობას და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფაქტებს ნატეხი ლითონის ჩაბარების ლიმიტების დროულად აღსრულებაზე უარის თქმისას შავიქვის ტრესტისა, ფოთის საქალაქო საბჭოს, ტფილისის ტრამვაის დირექციისა, სტალინის სახელობის სარემონტო ქარხნისა, რიონჰესისა, „სოიუზტრანს"-ისა, ტყიბულისა და სხვა ორგანიზაციების მხრით; აგრეთვე „ზაკსოიუზ"-ისა, „ზაკუტილ"-ისა და „კუსტპრომ"-ის („ლომუტილ"-ის) სრულიად არადამაკმაყოფილებელ მუშაობას შავი და ფერადი ნატეხი ლითონის შეგროვების საქმეში.

3. აღინიშნოს პროკურატურის ორგანოების უმოქმედობა — იმ პირთა პასუხისგებაში მიუცემლობისათვის, ვინც ბოროტეულად არა ჩაბარა ზედმეტი ნატეხი ლითონი და გაწყობილობა.

ამისდამიხედვით ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული აღსრულების შემმოწმებელი კომისია ადგენს:

1. დაევალოს შავი და ნატეხი ლითონის აღმნუსხველ და მრეალიზებელ კომისიას, ამხ. მარკმანის პასუხისმგებლობით, გაადლიეროს მუშაობა შავი და ფერადი ნატეხი ლითონის დამზადების გეგმის რეალიზაციისათვის და ერთი დეკადის ვადაზე უზრუნველჰყოს ცალკეულ საწარმოზე და დამმზადებელ პუნქტზე წლიური დაავალების განაწილება, პირველ ნახევარ წლის განმავლობაში შეუსრულებელი ლიმიტების დაფარვის სათვალაში მიღებით.

2. ყველა საწარმომ, რომელსაც არ აქვს დადებული ხელშეკრულება ნატეხი ლითონის ჩაბარების თაობაზე, დაუყოვნებლივ დასდვას იგი.

3. ეთხოვოს ა/კ. პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს — გაადლიეროს პროფესიონალურ კავშირთა ქვედა ორგანიზაციების მუშაობა ლითონის რესსურსების მობილიზაციის წარმატებით მსვლელობის საქმეში მუშათა აქტივისა და სპეციალისტების ჩასაბმელად.

4. სექტემბრის დამლევს მოსმენილ იქნეს „მეტალლომ"-ის ამიერკავკასიის კონტორისა და შავი და ფერადი ნატეხი ლითონის აღმნუსხველი და მრეალიზებელი კომისიის მოხსენება — შავი და ფერადი ნატეხი ლითონის შეგროვების მსვლელობის შესახებ.

აღსრულების შემმოწმებელი კომისიის
თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

სღსრულების შემმოწმებელი კომისიის
მდივანი **თ. მელნიკოვი.**

1931 წ. აგვისტოს 9
№ 23.
ტფილისი

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 223 №-ში 1931 წ. აგვისტოს 15-ს.

მთავლ. № 1635. საკართველოს სახკომსაბჭოს სტამბა. ტირაჟი 1.400